ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 27 აგვისტო, 2018 №202(7747) ფასი: 60 თეთრი

რუსი გენერლის მიერ შეკვეთილი მკვლელობა

ვინ არის პატიმარი, რომელმაც დოდო გუგეშაშვილს სკანდალური ინფორმაცია მიაწოდა გვ.7

„მერკელმა „ოცნებას“ პირდაპირ უთხრა, ოპოზიციაში წადითო“

გვ.2

გიგლა ბარამიძე:

„გერმანიის კანცლერმა საქართველოს ხელისუფლებას სილა გააწნა“

ანატოლი ბიბილოვი: „ჩემი მიზანი რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა“

გვ.3

„გახარია რომ ვიყო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსს მოვხსნიდი!“

გვ.3

შალვა ხაჭაპურიძე: „ნარკოტიკების გასაღებაზე კანონი უნდა გამკაცრდეს“

სამართალი გვ.7

კასპში ყოფილმა პოლიციელმა ბიძაშვილი მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა

ცირკთან ეკონომიკის სამინისტროს მაღალჩინოსანი ოთარ იაშაღაშვილი ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს

ანაკლიაში ნარკოტიკების უკანონოდ შეძენა-გასაღების ბრალდებით 3 ირანელი დააკავეს



ეკონომიკა გვ.6

სააკაშვილი: „მოძველებული საბანკო სისტემა უნდა მოვიშოროთ“

საქართველოს რკინიგზამ გასული წელი 354.1 მლნ ლარის ზარალით დაასრულა

გვ.6

ტაქსების პრობლემა თბილისის აეროპორტში

ლევან ჩუბინიძე: „ღვინის ტურიზმში უცხოური გამოცდილება გვაკლია“ გვ.5

ISSN 1987-9385

5 აზერბაიჯანი რუსეთს უახლოვდება
რა ხდება სამხრეთ კავკასიაში

4 რატომ არ დაესწრო ეკონომიკის მინისტრი გერმანელ პარტნიორებთან შეხვედრას?!

4 ილია მეორე მრევლს: „თქვენი ლოცვები მჭირდება“

8 ჯონ მაკკეინი გარდაიცვალა

„მერკელმა „ოცნებას“ პირდაპირ უთხრა, ოპოზიციაში წადითო“

შორენა მარსაგიშვილი

რა გზავნილები ჩამოიტანა მერკელმა საქართველოში, რა შეცდომები დაუშვა ქვეყნის ხელისუფლებამ, რა ემუქრება მმართველ პარტიას ოპოზიციაში გადასვლის შემთხვევაში, რატომ არ შეხვდა გერმანიის კანცლერი ბიძინა ივანიშვილს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი, სომხეთში საქართველოს ყოფილი ელჩი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

გიგლა ბარამიძე: „გერმანიის კანცლერმა საქართველოს ხელისუფლებას სილა გააწნა“

გიგლა ბარამიძე:

– დღეს ჩვენ ცრუ, ვირტუალურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და ეს სამარცხვინო რეალობა გააზრებულიც კი არა გვაქვს. რას უნდა ველოდოთ ჩვენ ანგელა მერკელის ვიზიტისგან, როდესაც ის არ შეხვდა ადამიანს, რომელიც საქართველოში წყვეტს ყველაფერს.

– ბიძინა ივანიშვილს გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილს ვგულისხმობ. დღეს საქართველოში ის წყვეტს ყველაფერს. გერმანიის კანცლერი მას იმიტომ არ შეხვდა, რომ ივანიშვილს დღეს არანაირი სტატუსი არა აქვს. ის ოფიციალური სტატუსის მქონე პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერსა და პრეზიდენტს შეხვდა, რომლებიც ამ ქვეყანაში არაფერს წარმოადგენენ და მათი გავლენა თუ ავტორიტეტი პლინტუსის ქვევით არის.

ამის მერე ჩვენ კიდევ რაღაც პოლიტიკურ ანალიზზე ვსაუბრობთ. ეს არის ანეკდოტური სიტუაცია და ამიტომ ვამბობ, რომ საქართველო ებრძვის ქარის წისქვილებს და თავის მოტყუებაზეა გადასული. ეს არის ცრუ ვირტუალური სამყარო.

ანგელა მერკელის ვიზიტისგან ბევრი არაფერია მოსალოდნელი. ამ ადამიანმა ძალიან კარგად იცოდა, ვის შეხვდა საქართველოში. მან დეტალურად იცის, თუ რას წარმოადგენენ ქვეყნის პრემიერი, პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე თუ სხვა ოფიციალური პირები.

როდესაც ამა თუ იმ ქვეყანაში უმაღლესი რანგის თანამდებობის პირის ვიზიტი მზადდება, ამ ქვეყნის საელჩო დეტალურ ინფორმაციას აგროვებს. წლების განმავლობაში ვმუშაობდი სომხეთში საქართველოს ელჩად და კარგად ვიცი, როგორ მზადდება უმაღლესი ვიზიტები.

მერკელს საქართველოში გერმანიის საელჩოსგან დეტალური ინფორმაცია ექნებოდა იმაზე, თუ როგორ იქცევიან ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები. ისიც კი ეცოდინებოდა, რომ მარტო ფულის შოვნაზე არიან გადასული.

საქართველოს ხელისუფლებამ მერკელის ვიზიტის დროს სერიოზული შეცდომები დაუშვა. მოგწონს თუ არა ეს ქალი, ის ევროკავშირის წამყვანი ქვეყნის პირველი პირია. ასეთი მაღალი რანგის სტუმრები საქართველოს იშვიათად სტუმრობენ და იმდენი მოახერხეს, რომ მას აეროპორტში პრემიერიც კი არ დახვდა.

– რა აზრი ჰქონდა მის დახვედრას, თავად არ ამბობთ, არაფერს წარმოადგენსო?

– პრემიერი, ეს ზორბა ბიჭი, მართლაც არაფერს წარმოადგენს, იმიტომ რომ ქვეყანას ივანიშვილი მართავს, რომელიც პრემიერებს საცვლებივით იცვლის. ამის მიუხედავად, ბახტაძეს აქვს ოფიციალური სტატუსი, კეთილი ენება და დახვედროდა მერკელს აეროპორტში.

სომხეთსა და აზერბაიჯანში გერმანიის კანცლერს უმაღლესი თანამდებობის პირები დახვდნენ. სომხეთში ის ხალხსაც შეახვედრეს და ქუჩაში გაატარეს. ჩვენთან არ შეიძლებოდა ამის გაკეთება? როგორ არ შეიძლებოდა, მაგრამ აქ არის საკრეტინეთი და ესენი მხოლოდ ფულის შოვნასა და საკუთარი მუცლის ამოყორვაზე არიან გადასული.

ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს იყო გადაწყვეტილი, რომ გერმანია საქართველოს გაზსაცავის მშენებლობაში დაეხმარებოდა. ამ კარგი საქმისთვის ახლა გამოგვიყო გერმანიამ თანხა, ხელი მოეწერა შეთანხმებას და ამ დროს საქართველოში არ იყო ეკონომიკის მინისტრი.

კაცი, რომელიც სულ ახლახან დანიშნეს მინისტრად, უკვე შვებულებაში წავიდა. საქართველოში გერმანიის კანცლერი ჩამოდის, ეკონომიკურ თანამშრომლობაზე საუბრობს და ამ დროს ეკონომიკის მინისტრი მოსკოვიდან ვერ ჩამოჰყავთ. საკრეტინეთია, აბა, რა არის.

საქართველოში არც თავდაცვის მინისტრი იყო. ის გვერდიდან არ უნდა მოსცილებოდა მერკელს და ეთხოვა, იქნებ ჯარის აღმშენებლობაში რამეთი დაგვეხმაროთო. ამის ნაცვლად ის კიევში პოროშენკოს მიტინგზე გამოდიოდა სიტყვით.

ამიტომაც ნულარ გვიკვირს, რომ მერკლმა ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ადგილზე საქართველოს პირველი პირები არ გაიყოლა. მან იმ ტერიტორიას სადემარკაციო ხაზი უწოდა, იქაურობას ჭოგრიტით გახედა და კომენტარიც კი არ გააკეთა.

საოკუპაციო ხაზთან მერკელის მისვლა ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ცხინვალის მეთაური ანატოლი ბიბილოვს. მან გერმანიის კანცლერი ცხინვალში მიიწვია და ასეთი რამე დაუბარა, მან ხომ ჭოგრიტით მაინც დაინახა, რომ სამხრეთ ოსეთში აღმშენებლობის პროცესი მიდის.

– მერკელმა, მართალია, საოკუპაციო ხაზთან კომენტარი არ გააკეთა, სამაგიეროდ, სტუდენტებთან შეხვედრისას ხომ ათქმევინეს ოკუპაცია, რითიც ერი ძალიან ბედნიერია. ერი იმითაც კმაყოფილია, რომ მამუკა ბახტაძემ მას დრეზდენის გალერეიდან დაკარგული ტილო აჩუქა.

– ვათქმევინეთ ოკუპაცია და რა? შეიცვალა ამით რამე? მოგვიანებით გაირკვა, რომ ახალგაზრდა, რომელმაც გერმანიის კანცლერს ოკუპაცია ათქმევინა, „ევროპული საქართველოს“ წევრი იყო.

გერმანიის კანცლერი საქართველოში ვიზიტამდე რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა. მან პუტინთან ყველაფერზე ისაუბრა, მაგრამ საქართველო არ უხსენებია. მან მშვენივრად იცის, რუსეთს საქართველოს ტერიტორიები რომ აქვს ოკუპირებული, მაგრამ ამაზე სიტყვა არ დასცდენია.

სტუდენტებს გერმანიის კანცლერთან სწავლასა და გაცვლით პროგრამებზე უნდა ელაპარაკათ, ოკუპირებული რეგიონების საკითხი კი მამუკა ბახტაძეს უნდა დაესვა. ზორბა ბიჭმა ისიც კი ვერ გაუბედა მერკელს, რომ ეთქვა, იქნებ თქვენ გვი შუამდგომლოთ რუსებთან, რომ დაკარგულ ტერიტორიებზე დიალოგი დავიწყოთო. მით უმეტეს, რომ რამდენიმე წლის წინ მერკელს თავად აქვს ნათქვამი, შუამავლის როლს მე ვიკისრებ თბილისსა და მოსკოვს შორისო.

ამის ნაცვლად ზორბა ბიჭმა გერმანელს სტუმარს რაღაც ნახატი აჩუქა. გინდა დრეზდენის მუზეუმიდან გამქრალი ტილო აჩუქე და გინდა ნადირშაჰის უძვირფასესი ხალიჩა, ასე არაფერი გამოა.

– თქვენი აზრით, რატომ არ სთხოვა ბახტაძემ მერკელს შუამავლობა, ვერ გაუბედა?

– ვერც გაუბედა და, მაგის გარდა, რუსეთთან დიალოგის ეშინიათ. ვინ უნდა აწარმოოს მოსკოვთან მოლაპარაკებები, ზორბა ბიჭმა თუ მძიმეწონიანმა პრეზიდენტმა? ხელისუფლებაში კაცი არ არის, რომელიც დაკარგულ ტერიტორიებზე დაელაპარაკება რუსეთს.

რუსეთის გარეშე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა არ მოგვარდება. ამ პრობლემის მოგვარების გარეშე კი საქართველოს ნატოში არ მიიღებენ.

ანგელა მერკელმა პირდაპირ თქვა, რომ საქართველოს ნატოში დაჩქარებული წესით არავინ მიიღებს. პირდაპირ გვითხრა ისიც, რომ სანამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა არ მოგვარდება, ამ ორგანიზაციაში ვერ შევალთ.

საინტერესო განცხადება გააკეთა ევროკავშირთან დაკავშირებითაც, გასაგებად აგვიხსნა, რომ იქ ახლო მომავალში ვერ გავწევრიანდებით.

ნატოს კარს რომ ასე ადვილად არ გაგვიღებენ და ევროკავშირში ჯერ არ მიგვიღებენ, ამაზე ჩვენს პარტიას არაერთხელ უსაუბრია. ახლა ამის შესახებ გერმანიის კანცლერმა თქვა და იქნებ მას მაინც დაუჯეროთ.

– ნატოზე ასეთ განცხადებებს რომ აკეთებდით, მაგიტომაც მოინათლა თქვენი პარტია პრორუსულად.

– მერკელიც პრორუსულია? ის რუსეთთან, მართალია, კარგ დამოკიდებულებაშია, მაგრამ ამას ისე აკეთებს, რომ თავისი ქვეყნის ინტერესები დაიცვას. ჩვენც შეგვიძლია ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვა, მაგრამ არ ვაკეთებთ. იმის ნაცვლად, რომ ტერიტორიების დაბრუნების გზები ეძებონ, მოსახლეობას ატყუებენ, ნატოსა და ევროკავშირში შევდივართო. მერკელის განცხადების შემდეგ ეს ტყუილი აღარ გაჭრის.

ერევანში ჩასულმა ანგელა მერკელმა ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ სომხეთი არის რუსეთთან და ევროკავშირთან თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი. არ შეიძლებოდა, ჩვენი ქვეყანაც ასეთი გზით წასულიყო? შეიძლებოდა, მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს, ზორბა ბიჭმა, რომელიც ღანდივით დატანტალებდა კანცლერის გარშემო თუ პრეზიდენტმა ან პარლამენტის თავმჯდომარემ?

უკვე გითხარით, რომ მერკელმა შესანიშნავად იცოდა, ვისთანაც ჩამოდიოდა საქართველოში და ამიტომაც არ გაიყოლა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საოკუპაციო ხაზთან. ეს ჩვენი ხელისუფლებისთვის, ფაქტობრივად, სილის გაწვნა იყო.

ქართველი ერის ყველაზე დიდი შეცდომა არის ის, რომ არ ვუყურებთ ჩვენს თავს კრიტიკულად და არ ვაღიარებთ იმ კატასტროფულ შეცდომებს, რომლებსაც ვუშვებთ. აქ არაფერ შუაშია არც კრემლი, არც დასავლეთი და არც ჩინეთის კედელი. ხალხმაც უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ამ ყველაფერზე. ეს ხელისუფლება მათ აირჩიეს. რეალობას ვერ ვხედავთ და ამიტომ ვართ გაბითურებული. იმედია, ახლა მაინც აღარ მისცემენ „ოცნება-ბოცნებას“ ხმას.

– 2011 წელს საქართველოში ვიზიტად მყოფმა სარკოზიმ განაცხადა, მმართველ პარტიას მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის გადავა ოპოზიციაშიო. ერთ წელიწადში საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა. იგივე გაიმეორა მერკელმა. თქვენი აზრით, ეს უბრალო დამთხვევაა თუ გზავნილი?

– კულტურულად უთხრა, წადითო, აბა, პირდაპირ ხომ არ ეტყოდა, წიხლებით ხართ გასაყრელიო. ასეთ დონის პოლიტიკური ფიგურა აქ საჭორაოდ არ ჩამოვიდოდა. აქ არ გაიყოლა, იქ არ გაიყოლა ხელისუფლების პირველი პირები და პირდაპირ უთხრა, მოემზადეთ ოპოზიციაში გადასვლისთვისო.

– თქვენი აზრით, გადავა „ოცნება“ ოპოზიციაში?

– ესენი ოპოზიციაში ვერ წავლენ, როგორც კი ხელისუფლებას ჩამოშორდებიან, ეგრევე გაქრებიან. უკვე სამარცხვინო და ენით აუწერელია ის მდაბიო-პლებეური ცნობიერებითი პროვინციალიზმი და სიბრიყვე, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასა და მათთან დაახლოებულ პოლიტიკოსებს რომ სჭირთ. არ მინდა, ქიმერებს გამოდევნებული ერი გავხდეთ, რომელიც მერკელის ნათქვამ სიტყვა ოკუპაციას ჩაეჭიდება.

ამ ერთი სიტყვის გამოკიდებას სჯობია, ის გავაანალიზოთ, რატომ არ იყო საქართველოში ეკონომიკის მინისტრი, რატომ არ დახვდა პრემიერი კანცლერს აეროპორტში.

– თქვენი აზრით, რატომ არ დახვდა?

– უთხრეს, პროტოკოლის მიხედვით შენ კი არა, საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა დახვდესო. ამ ზორბასაც მეტი ტვინი კი არა აქვს. იმდენსაც ვერ მიხვდა, რომ გერმანიის კანცლერი საქართველოში კვარტალში ერთხელ არ ჩამოდის. ტრამპი, მართალია, სულ დასცინის მერკელს, მაგრამ არ არის საქართველო აშშ და არც ზორბა ბიჭია ტრამპი.

სომხეთში დააკლდათ რამე, აეროპორტში პრეზიდენტიც რომ დახვდა და პრემიერიც? გერმანიის კანცლერი ქუჩაშიც გაატარეს, სადაც მას ხალხი ტაშს უკრავდა. საქართველოშიც დაუკრავდნენ ტაშს.

– ნამდვილად დაუკრავდნენ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გერმანიამ საქართველოს დიდი დახმარება გაუწია.

– გერმანიას საქართველოსთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ნოე ჟორდანიასა და მის უდღეურ მენშევიკების მთავრობას სახელმწიფო-სტრუქტურული ინსტიტუტები გერმანელებმა შეუქმნეს.

თბილისში იდგა გერმანული პოლკი. ინგლისის ყველაფერს აკეთებდა, რომ პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია საქართველოდან გაეძევებინა.

ამ მიზნით ააბუნტეს ინგლისელებმა სომეხი დაშნაკები. ჯერ თბილისში მოძებნეს ექსტრემისტულად განწყობილი ეთნიკური სომხები. მათ იარაღიც დაურიგეს. ეს აჯანყება არ გამოვიდა. ამბავი გასკდა. ჟორდანიას მთავრობამ ჯარის შეკრება ვერ მოახერხა და კახეთში მოაგროვეს 500 კაცი, ინგლისელების მიერ შეიარაღებული დაშნაკები კახელებმა განაიარაღეს.

ინგლისელები მაინც არ გაჩერდნენ და ახლა სომხეთში გააქეზეს ექსტრემისტული დაჯგუფების წევრები. 1918 წლის დეკემბერში სწორედ ისინი შემოცვივდნენ საქართველოში წითელი ხიდის მხრიდან. გენერალმა მაზნიაშვილმა დაშნაკები საქართველოს ტერიტორიიდან გაყარა და ერევნამდე აპირებდა მათ დევნას, მაგრამ ინგლისელებმა გააჩერეს.

საზღვრების გაყოფის დროს ინგლისელებმა აჩუქეს სომხეს ქართული მიწები. ასე იმიტომ გააკეთეს, რომ დაშნაკები ჩუმად ყოფილიყვნენ და ინგლისელებზე სიმართლე არ ეთქვათ.

გერმანულ ყაიდაზე მოაწყო თურქეთის რესპუბლიკამ თავისი არმია. საქართველოც იმავეს გაკეთებას აპირებდა. კადეტები გერმანულ სამხედრო სასწავლებლებში უნდა გაეგზავნათ, მაგრამ მათი უმეტესობა მეთერთმეტე არმიასთან ბრძოლაში დაიღუპა, საქართველომ კი დამოუკიდებლობა დაკარგა.

ქართული ინტელიგენცია განათლებას ძირითადად გერმანიაში იღებდა. ამ ქვეყანასთან ყოველთვის კარგი დამოკიდებულება გვქონდა. ამიტომაც არ შეიძლებოდა მერკელთან მსგავსი უპატივცემულობის გამოჩენა. ვალში არც მერკელი დარჩენილა – მან საქართველოს ხელისუფლება არ გაიყოლა საოკუპაციო ხაზთან და, როგორც გითხარით, ეს სილის გაწვნის ტოლფასია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია რომ ვიყო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსს მოვხსნიდი!“

შალვა ხაჭაპურიძე: „ნარკოტიკების გასაღებაზე კანონი უნდა გამკაცრდეს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატი, უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბატონო შალვა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ ანაკლიის ჯაზფესტივალზე ნარკოტიკული საშუალებებით ერთი ახალგაზრდა სტუდენტი გარდაიცვალა და რამდენიმე მოიწამლა. რა ხდება?

– ეს თემა უკვე რამდენი ხანია, აქტუალურია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეს პრობლემა დგას ჩვენს ქვეყანაში. წლებია ვსაუბრობთ ამ თემაზე, განსაკუთრებით პოლიტიკოსები, როდესაც საარჩევნო პერიოდ დგება, თუმცა, როგორც ხედავთ, ეს საკითხი დღემდე ვერ დარეგულირდა საქართველოში. ერთ საგაზეთო ინტერვიუში ძალიან ძნელია ისაუბრო იმ საკითხების შესახებ, რომლებმაც, შეესაძლოა, ეს პრობლემა დაარეგულიროს. თუმცა შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტის გაჟღერება.

– კერძოდ?

– პირველი ის, რომ საკანონმდებლო ბაზა უნდა იყოს, ამაზე ყველა საუბრობს, თუმცა 28 წელიწადია, სახელმწიფომ ვერ ჩამოაყალიბა, ვერ მიიღო ის კანონმდებლობა, რომელიც დაგვაახლოებდა იმ ცივილიზებულ მიდგომებთან, რომლებიც მსოფლიოშია ამ საკითხთან დაკავშირებით და, მეორე მხრივ, იქნებოდა რეალური ბრძოლა როგორც ნარკოტიკების გასაღებასთან, ისე შეძენა-შენახვასთან დაკავშირებით.

– საგანგაშო სტატისტიკაა ბოლო პერიოდში.

– ნამდვილად ასეა. ხალხიც აიჭრა, ვეღარ გაიგო საზოგადოებამ, რა არის დეკრიმინალიზაცია, რა არის ლეგალიზაცია და საერთოდ რასთან გვაქვს საქმე. საქართველო არ არის ნარკოტიკების მწარმოებელი ქვეყანა, ღვთის წყალობით. ეს არის სახელმწიფო, სადაც შემოდის ნარკოტიკი.

მე ვიცნობ ნარკომანებს, რომლებიც 90-იანი წლებიდან არიან ქვეყანაში, იკეთებდნენ წამალს და დღესაც ცოცხლები არიან. მაშინ ისმება კითხვა, რა ხდება? მაგალითისთვის ავიღოთ ბოლო შაბათს მომხდარი ფაქტი, საშინელებაა ის, რაც ანაკლიაში მოხდა! გუშინ სახლში მეც მთელი ამბავი მქონდა, ჩემს შვილებს მეგობრებთან ერთად უნდოდათ წასვლა და ძლივს გადავაფიქრებინეთ. ყველა შეშინებულია, სად უნდა გაუშვა?! საერთოდ რა ხდება ეს! პირველი პრობლემა: არ კონტროლდება საზღვრები! საზღვრის დაცვის დეპარტამენტია თუ რაც არის, საერთოდ ფუნქციონირებს, სად არის მისი ხელმძღვანელობა?!

– მათი პასუხისმგებლობის საკითხია?

– აბა ვისია?! შინაგან საქმეთა მინისტრი რომ ვიყო, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსს მოვხსნიდი, უფრო მეტიც, დავიწყებდი გამოძიებას, საიდან ხვდება ეს ნარკოტიკები ჩვენთან და ამდენი ნარკოტიკი საიდან შემოედინება.

– ორიოდე დღის წინ დიმიტრი ქუმსიშვილის დროს მომუშავე ეკონომიკის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი დააკავეს ნარკოტიკების გასაღების ფაქტზე.

– ეგ საერთოდ საშინელებაა! გამაოგნებელი და შემზარავი ფაქტია, როცა ამხელა თანამდებობის პირს აკავებენ ასეთ დანაშაულზე. მე ვერ დავარღვევ უდანაშაულობის პრეზუმფციას, მაგრამ, თუ მართლა ჩადენილი აქვს ამ კაცს ეს დანაშაული, ხვდებით, რა დონის ეშელონებში ხდება იგი?! ხალხი გაოგნებულია, აღარ იციან, რა გააკეთონ. გადახედეთ სოციალურ ქსელებს, პანიკაშია ხალხი.

– არ არის სათანადო კონტროლი თუ მიზანმიმართული პროცესია?

– ვიღაცის პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს! ამ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობას ხომ ვერ მოვთხოვთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს? საუბარია ძალოვან სტრუქტურებზე. პირველ რიგში აუცილებელია საზღვრის გაკონტროლება. რეალური ბრძოლა დავიწყოთ ნარკოგამსაღებლების წინააღმდეგ! ბავშვი გარდაიცვალა და იმავე საღამოს აკავებენ ნარკოგამსაღებელს. დაკავებულს იმ გარდაცვალების ფაქტთან აქვს თუ არა კავშირი, ეს კაცმა არ იცის. გარდა პოლიციისა, აქ ჩართული უნდა იყოს სკოლები, უნივერსიტეტები.

– უნდა ისწავლებოდეს მაღალ კლასებში და უნდა უხსნიდნენ მოზარდებს, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ნარკოტიკს?

– რა თქმა უნდა! ფილმებს უნდა იღებდნენ ამაზე, აჩვენებდნენ მოსწავლეებს, ეკლესია უნდა იყოს ჩართული!

– თუმცა ჩვენი ახალგაზრდები მხოლოდ პიარს ხედავენ და ესმით, რა კარგია ნარკოტიკი.

– უნდა იყოს უმკაცრესი ზომები. მე რამდენიმე თვის წინ პარლამენტს მივმართე და ვთხოვე, კანონში შეიტანონ ცვლილება და ნარკოგამსაღებლების მიმართ იყოს უვადო თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსში განსაკუთრებით დიდი ოდენობით გასაღებაზე წერია უვადო. განსაკუთრებით დიდი კი არა, სულ რამდენიმე გრამი მოიხმარეს იმ ბავშვებმა, რომლებიც გარდაცვლილები არიან. ეს კატასტროფაა! ფაქტია, რომ ეს ადამიანები, რომლებიც ამ ფესტივალზე გარდაიცვალნენ, არ იყვნენ ნარკომანები.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– თუ ისინი ნარკომანები იყვნენ და მოიხმარდნენ ამ ტიპის ნარკოტიკებს, მაშინ აქამდეც გარდაიცვლებოდნენ. ანუ რა ხდება, შემოდის რაღაც ჩანერგილი აგენტები და ის აგენტი უნდა გამოიყურებოდეს ისე, როგორც გამოიყურება იქაური თანამედროვე ახალგაზრდა. შემოავლე ბოძები, დაიდე კამერები და აკონტროლე სიტუაცია. კამერების მეტი რა დატოვეს ნაციონალებმა, სავსეა საწყობები. გააკონტროლე, რა, ეს პერიმეტრი. დაახლოებით 2-3-კილომეტრიან პერიმეტრზეა საუბარი. რა უნდა ამის გაკონტროლებას.

– ანუ არ შედის ამის კონტროლი ვიღაცის ინტერესში?

– რადგან ამას არ აკონტროლებ, ორი დასკვნა კეთდება: ერთი, ან არ შეგიძლია და უუნარო ხარ, ვერ ასრულებ შენს სამსახურებრივ მოვალეობას, ან ამ დანაშაულის თანამონაწილე ხარ! ძალიან საეჭვოა ეს ყველაფერი.

– რა არის საეჭვო?

– სახელმწიფოს დაუფინანსებია ეს ფესტივალი ანაკლიაში და ამაში ჩაუდვია 5 მილიონზე მეტი ლარი. ბილეთი ღირს 70 ლარი. განა რამდენი ადამიანი უნდა შევიდეს, რომ ის ჩადებული ბიუჯეტის თანხა უკან ამოიღონ?! წარმოუდგენელია, ამდენი ადამიანი იქ ვერ შევა. იქ კოკა-კოლა იყიდება, საჭმელი თუ რაღაც კერძო კომპანიისაა. ეს ფული ბიუჯეტში არ შედის.

– საით მიანიშნებთ?

– თუ იქ ასე მასობრივად იყიდება ნარკოტიკები, ამას არავინ აკონტროლებს, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. გავრცელდა ახალგაზრდების ვიდეოკადრები, რომლებსაც აშკარად შეატყობ, რომ რაღაც ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ არიან. ამას რომ ამოწმებდნენ ვიდეოკამერებით, ბოლოს და ბოლოს, ექიმს მაინც შეამოწმებინებენ, საფრთხე ხომ არ ემუქრებათ ამ ახალგაზრდებს. სასწრაფოშხამი! ბევრი მათგანი ეგება ამ ანკესს. ავიღოთ შარდენი, პეროვსკაია, სადაც ძალიან ბევრი ბარია, ერთი შემთხვევაც არ არსებობს, რომ იქ ვინმე გარდაცვლილიყოს ნარკოტიკით. ეს ხდება ძირითადად ღამის კლუბებსა და ასეთი ტიპის ფესტივალებზე.

– რატომ, აქ უკონტროლო სიტუაციაა?

– როგორც ჩანს, უკონტროლოა და რატომ უნდა იყოს უკონტროლო? განა რა გახდა ამის გაკონტროლება?! პოლიციის ფორმით რომ შეხვალ, დაიმალება ის გამსაღებელი, აბა წინ ხომ არ დაგიდგება?! რა დიდი ტვინი და სამართლებრივი გამოცდილება უნდა ამას, რომ იქ ჰყავდეთ გადაცმული, ჩანერგილი აგენტები და ის აგენტი უნდა გამოიყურებოდეს ისე, როგორც გამოიყურება იქაური თანამედროვე ახალგაზრდა. შემოავლე ბოძები, დაიდე კამერები და აკონტროლე სიტუაცია. კამერების მეტი რა დატოვეს ნაციონალებმა, სავსეა საწყობები. გააკონტროლე, რა, ეს პერიმეტრი. დაახლოებით 2-3-კილომეტრიან პერიმეტრზეა საუბარი. რა უნდა ამის გაკონტროლებას.

– ანუ არ შედის ამის კონტროლი ვიღაცის ინტერესში?

– რადგან ამას არ აკონტროლებ, ორი დასკვნა კეთდება: ერთი, ან არ შეგიძლია და უუნარო ხარ, ვერ ასრულებ შენს სამსახურებრივ მოვალეობას, ან ამ დანაშაულის თანამონაწილე ხარ! ძალიან საეჭვოა ეს ყველაფერი.

– რა არის საეჭვო?

– სახელმწიფოს დაუფინანსებია ეს ფესტივალი ანაკლიაში და ამაში ჩაუდვია 5 მილიონზე მეტი ლარი. ბილეთი ღირს 70 ლარი. განა რამდენი ადამიანი უნდა შევიდეს, რომ ის ჩადებული ბიუჯეტის თანხა უკან ამოიღონ?! წარმოუდგენელია, ამდენი ადამიანი იქ ვერ შევა. იქ კოკა-კოლა იყიდება, საჭმელი თუ რაღაც კერძო კომპანიისაა. ეს ფული ბიუჯეტში არ შედის.

– საით მიანიშნებთ?

– თუ იქ ასე მასობრივად იყიდება ნარკოტიკები, ამას არავინ აკონტროლებს, ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. გავრცელდა ახალგაზრდების ვიდეოკადრები, რომლებსაც აშკარად შეატყობ, რომ რაღაც ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ არიან. ამას რომ ამოწმებდნენ ვიდეოკამერებით, ბოლოს და ბოლოს, ექიმს მაინც შეამოწმებინებენ, საფრთხე ხომ არ ემუქრებათ ამ ახალგაზრდებს. სასწრაფოები არიან მობილიზებულიო, ეს უკვე ყველაზე ცუდი ვარიანტია. სასწრაფოროცა დასჭირდებათ, მერე, კაცმა არ იცის, გადარჩება თუ არა. შენ მანამდე არ უნდა მიიყვანო სიტუაცია. რატომ ვერ ებრძვიან ამ ყველაფერს ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები?! კი, ვთანხმდებით, რომ ნარკოტიკის კონტროლი ძალიან რთული თემაა, მაგრამ მცდელობა მაინც დაგვანახეთ, სრულყოფილი კანონი დაგვანახეთ!

– არ უნდა დადგეს კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი?

– იმის განცხადება, რომ დილით იქ ბავშვი გარდაიცვალა და საღამოს ვიღაც ნარკოტიკების გამსაღებელი დაიკავეს, კი ბატონო, კარგია, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილას მე ძალიან მკაცრ ზომებს მივიღებდი. სასწრაფოდ მიიღოს პარლამენტმა შესაბამისი კანონი, რომ მოხდეს ამ საკითხების რეგულირება! რამდენ ხანს უნდა ვუყუროთ ამ საშინელებას?! ეს ყველაფერი გროვდება და მერე ძალიან ცუდი დასასრული აქვს ხოლმე. აღარ მინდა ეს რევოლუციები, ევოლუცია მინდა!

– გამოსავალი?

– ეს ყველაფერი ასე ვერ გაგრძელდება. ძალიან ცუდი სუნი ასდის ამ ყველაფერს. რა ვუთხრათ შვილებს, რატომ არ გიშვებთ გასართობადო? გაუშვებ და უნდა ელოდო, რომ მეორე დღეს მკვდარი მოგისვენონ სახლში? ასე ნამდვილად ვერ გაგრძელდება! დროზე იმოქმედოს ხელისუფლებამ, თორემ ძალიან ცუდად დამთავრდება ეს ყველაფერი! რატომ არიან ასე გატრუნულები და გაჩუმებულები? აქ ძალიან მაღალი რანგის ჩინოვნიკების პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება და აუცილებლად მათი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

რამდენიმე თვის წინ პარლამენტს მივმართე და ვთხოვე, კანონში შეიტანონ ცვლილება და ნარკოგამსაღებლების მიმართ იყოს უვადო თავისუფლების აღკვეთა. სისხლის სამართლის კოდექსში განსაკუთრებით დიდი ოდენობით გასაღებაზე წერია უვადო. განსაკუთრებით დიდი კი არა, სულ რამდენიმე გრამი მოიხმარეს იმ ბავშვებმა, რომლებიც გარდაცვლილები არიან. ეს კატასტროფაა!

ანატოლი ბიბილოვი: „ჩემი მიზანი რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა“

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 26 აგვისტოს, რუსებსა და მათ საყმოს ცხინვალსა და სოხუმში დიდი ზეიმი ჰქონდათ. ოკუპირებული აფხაზეთი და ცხინვალი დამოუკიდებლობის აღიარების 10 წლისთავს ზეიმობდნენ.

ეს რეგიონები მოსკოვმა 2008 წლის 26 აგვისტოს აღიარა. მათი დამოუკიდებლობის აღიარებას ხელი რუსეთის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მოაწერა.

აღიარების 10 წლისთავი ოსებმა და აფხაზებმა სხვადასხვანაირად აღნიშნეს. აფხაზებმა გარდაცვლილი პრეზიდენტების – სერგეი ბაღაფშისა და ვლადისლავ არძინბას საფლავები შეამკეს გვირგვინით, მერე ცენტრალურ მოედანზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოფენა მოაწყვეს.

აღიარების 10 წლისთავთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიებებიც გაიმართა, მაგალითად, გამოიფინა აფხაზი ფოტოგრაფების ფოტოები.

საგანგებო განცხადება გააკეთა აფხაზთა ამჟამინდელმა ლიდერმა რაულ ხაჯიმბამ. მან რუსეთის გადაწყვეტილებას ისტორიული უწოდა. მისი თქმით, ამ აღიარების შემდეგ აფხაზეთს განვითარების შანსი მიეცა.

რუსული აღიარებით თხემით ტერფამდე კმაყოფილია ცხინვალის პრეზიდენტიც. სრულ ნეტარებას მას მხოლოდ ერთი რამე აშორებს – რუსეთის შემადგენლობაში შესვლა.

ანატოლი ბიბილოვი აცხადებს, რომ რუსეთის შემადგენლობაში „რესპუბლიკის“ შესვლა მისი ცხოვრების სტიმულსა და მიზანს წარმოადგენს.

– ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა 2008 წლის 26 აგვისტოს მოხდა. მე არ ვამბობ და არ ვიტყვი უარს ეროვნულ იდეაზე – რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე. ჩემთვის ეს არის ცხოვრების სტიმული და მიზანი, რომელსაც ჩვენმა ხალხმა უნდა მიაღწიოს. მსურს, ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში ვიხილო, – განაცხადა ბიბილოვმა.

საზეიმო ღონისძიებები ცხინვალშიც მრავლად გაიმართა. აქ სტუმრები უცხოეთიდანაც ჰყავდათ. ბიბილოვს სირიის პრეზიდენტიც ჰყავდა დაპატიჟებული. ბაშარ ალ ასადმა ცხინვალში ჩასასვლელად ვერ მოიცალა, მაგრამ რამდენიმე სირიელი ჩინოსანი მაინც გააგზავნა.

ოსური მედიის ცნობით, საზეიმო ღონისძიებებს იტალიელი სტუმრებიც ესწრებოდნენ. იმედია, საქართველოს საგარეო უწყება იტალიური მხარისგან ამაზე განმარტებას მოითხოვს. სირიასთან რამდენიმე თვის წინ დიპლომატიური ურთიერთობა გავწყვიტეთ.

ამ ზეიმებამდე რამდენიმე დღით ადრე ვლადიმერ პუტინმა რაულ ხაჯიმბასა და ანატოლი ბიბილოვს კრემლში უხმო. ორივე დაუყოვნებლივ ეახლა დიდ ბელადს, სადაც გარკვეული მითითებები მიიღეს.

მითითებების მისაღებად წასულებმა ხელს ორდენებიც გააყოლეს, რომლებიც პუტინს დაჰკიდეს.

რაულ ხაჯიმბამ „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის განვითარებაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისთვის“ პუტინი ორდენ „ახძ-აფშათი“ (ღირსება და დიდება) დააჯილდოვა.

ბიბილოვმა პუტინი „უაცამონგას“ ორდენით დააჯილდოვა. ხაჯიმბასგან განსხვავებით, ბიბილოვმა ორდენი მედვედევსაც დაჰკიდა.

რატომ არ დაესწრო ეკონომიკის მინისტრი გერმანელ პარტნიორებთან შეხვედრას?!

გულიკო ბალაძე



რატომ არ ესწრებოდა გერმანელ სტუმრებთან ეკონომიკური ხელშეკრულების გაფორმებას ეკონომიკის მინისტრი? არსებულ ვითარებაში რა მნიშვნელობა ენიჭება ევროპის ერთ-ერთი ლიდერი ქვეყნის მეთაურის ვიზიტს საქართველოში? დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ჩვენი ხელისუფლებები ჩვენს პარტნიორ ნატოს ქვეყნების ლიდერებს ამოსუნთქვის საშუალებას არ უნდა აძლევდნენ, რათა არ მოადუნონ ყურადღება საქართველოს მიმართ. საქართველო უნდა იყოს დაპირისპირების საგანი დასავლეთსა და რუსეთს შორის.

– ბატონო მამუკა, აგვისტოს ომების ერთ-ერთი არასასურველი შედეგი მოვიმკეთ 26 აგვისტოს, როდესაც გაკადნიერებული რუსეთი ჩვენი ტერიტორიების ე.წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარების პოლიტიკას დაადგა. ორი დღის წინ გერმანიის კანცლერი მერკელი იმყოფებოდა საქართველოში და ზუსტად იმ დღეს, როდესაც მერკელი ჩამოვიდა, პუტინმა სეპარატისტთა ლიდერები მოსკოვში მიიწვია. რა პოლიტიკაა ეს რუსეთის მხრიდან, როგორ აფასებთ ამ სიტუაციას?

– ზოგადად, აგვისტო საქართველოს ძალიან ცუდად დაებედა. ამაში, ალბათ, ცოტა მისტიკაც არის. თუ სერიოზულად ვიმსჯელებთ, ასეთი მოცემულობაა – ბოლო 26 წლის განმავლობაში, რაც საქართველომ ჯერ ეროვნული მოძრაობის, შემდეგ ოფიციალურად მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გადის და დამოუკიდებელი სახელმწიფო ხდება (ქართველი ერის ნების გამოძახილი იყო 1989 წლის 9 აპრილს ქართველი ერის ნებისა და ერთიანობის დაფიქსირება, ხოლო შემდეგ, 1991 წელს – დამოუკიდებლობის გამოცხადება), რუსეთი იწყებს როგორც სამხედრო, ისე ჰუმანიტარულ დივერსიებს ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილი სამხედრო დივერსიის ერთ-ერთი გამოვლინებაა 1991-93 წლების რუსეთ-საქართველოს ომი. ჰუმანიტარული დივერსია იყო 90-იან წლებში საქართველოში ნარკოტიკების თავისუფალი ვაჭრობის ზონად გადაქცევა. ნარკოტიკები ძირითადად რუსეთიდან შემოდიოდა.

– საქართველოს წინააღმდეგ ჰუმანიტარული დივერსია იყო მის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე ქართველების გენოციდი და ეთნოწმენდა.

– აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩატარებული ეთნიკური წმენდა კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უმძიმესი დანაშაულია, რაზეც პასუხი რუსეთს ჯეროვნად არ მოეკითხა. ამიტომ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო-ჰუმანიტარული დივერსია გრძელდება. ამ დივერსიის ერთ-ერთი გამოვლინება იყო ასევე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება.

ამ საკმაოდ მძიმე მოცემულობის წინაშე ვდგავართ, მაგრამ არაღიარების პოლიტიკამ, რომლის განხორციელება ქართულმა სახელმწიფომ მთელ მსოფლიოს სთხოვა, გარკვეულწილად, თავისი ნაყოფი გამოიღო. რუსეთისა და რამდენიმე მისი სატელიტი სახელმწიფოს გარდა (მათ შორის, ერთ-ერთი იყო ასადის რეჟიმის აღიარება. თუმცა, როგორც კი არ იქნება ასადის რეჟიმი, მისი აღიარებაც გაუქმდება) სერიოზულ სახელმწიფოს ჩვენი ტერიტორიები დამოუკიდებლად არ უღიარებია.

– ამ მოცემულობის გათვალისწინებით, დღევანდელ ვითარებაში გერმანიის კანცლერ მერკელის ვიზიტი საქართველოში რა მნიშვნელობას იძენს?

– როდესაც სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით ძლიერი ქვეყნის ლიდერი, ძალიან გამოცდილი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც 13 წელია, ქვეყანას მართავს, ერთისა და იმავე პიროვნებისა და პოლიტიკური ძალის ასეთი დიდი დროით ხელისუფლებაში ყოფნა საკმაოდ იშვიათი მოვლენაა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მერკელი ასეთი ხანგრძლივი დროითაა ხელისუფლებაში, არავის უთქვამს, გერმანია დემოკრატიული სახელმწიფო არ არისო.

– არსებულ სიტუაციაში რამდენად მნიშვნელოვანია მერკელის მხარდაჭერა ჩვენთვის?

– ეჭვი არ მეპარება, რომ მერკელის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია. არაღიარების პოლიტიკის კუთხით ევროპის მხრიდან საფრთხეს ვერ ვხედავ, თუმცა, კრიტიკულად ვარ განწყობილი ჩვენი ხელისუფლების მიმართ.

– რატომ?

– ის, რაც დააკლო ევროპამ საქართველოს – მიმაჩნია, რომ ხელისუფლებამ უფრო დააკლო, ვიდრე ევროპამ. ყოჩაღ იმ ახალგაზრდას, რომელმაც მერკელს ათქმევინა, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიები აქვს ოკუპირებული. ხელისუფლებამ ვერ ამოაღერღინა სიტყვა „ოკუპაცია“. როდესაც ლიდერი სახელმწიფოს ხელმძღვანელი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებას ოკუპაციას უწოდებს, ეს არის არსებული მდგომარეობის სამართლებრივ-პოლიტიკური დეფინიცია, საერთაშორისო ტერმინი.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ ტერმინ ოკუპაციის საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრება მნიშვნელოვანია. ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ევროპის ყველა ქვეყანას მოუწოდებს, საქართველოს მიმართ რუსეთის მიერ ჩადენილი ქმედების ასახვისთვის გამოიყენონ სიტყვა „ოკუპაცია“.

ამ სიტუაციაში, როდესაც ევროპის უძლიერესი ქვეყნის ლიდერს ხელისუფლებასთან ერთად გამართულ ბრიფინგზე (ხელისუფლების წარმომადგენლები კი ამბობენ, რომ ჩვენი ტერიტორიები რუსეთის მიერ არის ოკუპირებული) იმის თქმა ერიდება, რომ აღნიშნული ტერიტორიები ოკუპირებულია. ჩვენ არაფერი გვაქვს მოსარიდებელი.

გერმანიამ მეორე მსოფლიო ომში დაზარალებულ ყველა ერს კომპენსაცია გადაუხადა. იცით, ეს რას ნიშნავს? ამისათვის გერმანიამ უდიდესი თანხები გადაიხადა. მსოფლიოში ქართველებზე მეტად არავინ დაზარალებულა.

– რუსეთსაც გადაუხადა?

– რუსეთს არ გადაუხადა, მაგრამ სხვა გზით უხდის. გერმანიის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს მეორე მსოფლიო ომის გამო გარკვეული არასრულფასოვნების კომპლექსი აქვს. როდესაც მერკელი სტუდენტებთან ლაპარაკობდა, პირდაპირ თქვა, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ რუსებთან, როგორც ენერგეტიკული პარტნიორი, რუსეთი ჩვენ გვაინტერესებსო (ლაპარაკია ჩრდილოეთ ნაკადზე), მაგრამ იმთავითვე ნათელი იყო, რატომ ჩამოვიდა კავკასიაში.

– რატომ ჩამოვიდა?

– მერკელს ძალიან აინტერესებს თურქმენული და აზერბაიჯანული გაზის საშუალებით „ჩრდილოეთ ნაკადის“ ალტერნატიული „სამხრეთ ნაკადის“ შექმნა, რომელმაც საქართველოზე უნდა გაიაროს. მას ძალიან აინტერესებს, როგორი პოლიტიკური სიტუაციაა საქართველოში, არის თუ არა პოლიტიკური კულტურა, დემოკრატია იმ დონეზე, „სამხრეთ ნაკადის“ პროექტის განხორციელების შემთხვევაში იქნება თუ არა უსაფრთხო გარემო.

– მერკელს აინტერესებს, მომავალში საქართველოში სტაბილური გარემო იყოს.

– დიახ. დემოკრატიის ხარისხზეა დამოკიდებული, როგორი უსაფრთხო ქვეყანაა საქართველო, რამდენად მაღალია დემოკრატიის ხარისხი, რამდენად უსაფრთხოა ქვეყანა. კარგია, რომ საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა.

– მერკელი საოკუპაციო ხაზთან დამოუკიდებლად ჩავიდა. ისე, მერკელს მავთულხლართებით რას გააკვირვებ, როცა იმხელა ბერლინის კედლის მომსწრეა. თვითონ მერკელი ე.წ. დემოკრატიულ გერმანიაში ცხოვრობდა. მგონი, პარტკომის მდივნადაც არის ნამუშევარი.

– მერკელმა ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ დაიწყო პოლიტიკურ კარიერაზე ზრუნვა. როცა მერკელმა თქვა, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი არის პრობლემა თქვენი ნატოში გაწევრიანების გზაზეო, ის, რა თქმა უნდა, გულწრფელი არ იყო. მერკელმა ძალიან კარგად იცის, გაყოფილი გერმანიიდან ჯერ დასავლეთი ნატოში როგორ შევიდა და ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ აღმოსავლეთი გერმანია როგორ შეუერთდა. აქ პოლიტიკური ნებაა საჭირო. ჩვენი ხელისუფლებები ჩვენს პარტნიორ ნატოს ქვეყნების ლიდერებს ამოსუნთქვის საშუალებას არ უნდა აძლევდნენ, რომ არ მოადუნონ ყურადღება საქართველოს მიმართ. საქართველო უნდა იყოს რუსეთსა და დასავლეთს შორის დაპირისპირების ეპიცენტრი (მხედველობაში არ მაქვს ცეცხლი, ავტომატი და ტანკი). ეს ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, მოშალა. პირდაპირ საარჩევნო პროგრამაში ჰქონდათ, საქართველო დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების საგანი არ უნდა იყოსო.

– თურმე ერთ-ერთი შეხვედრის შემდეგ საააკაშვილი იმდენს ელაპარაკა მერკელს, რომ შეხვედრის შემდეგ გაბრუებულმა მერკელმა ჰკითხა თავის თანაშემწეს, ხომ არაფერი ვთქვი ისეთი, რაც არ უნდა მეთქვაო. მაპთან დაკავშირებით კი განუცხადებია, საააკაშვილის პირობებში საქართველოსთვის მაპის მიცემა იგივეა, რაც პატარა ბავშვისთვის ასანთის მიცემა, ის საქართველოსა და მთელ მსოფლიოს ომში ჩაითრევსო, ანუ მერკელს ომისა და არასტაბილურობის ყოველთვის ეშინოდა. შეიძლება, კომპლექსიდანაც გამომდინარეობდა.

– მთელი გერმანიის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს აწუხებს კომპლექსი. ტრამპმა გერმანიას პირდაპირ უთხრა, ჩვენ რუსებს სანქციებს ვუწესებთ, თქვენ კი ჩვენი ფულით რუსებს ამდიდრებთო.

– თუმცა, მერკელის ნათქვამი გამართლდა. არ მოგვცეს მაპი, მაგრამ ომი მაინც მოხდა.

– დარწმუნებული ვარ, საქართველოსთვის ნატოში გაწევრიანების სამოქმედო პროგრამა რომ მოეცათ, 2008 წლის აგვისტოს ომი არ იქნებოდა.

– მერკელის ვიზიტის მთავარ ხაზად რა მიგაჩნიათ?

– მერკელის ვიზიტის მთავარი შემადგენელი იყო ეკონომიკური საკითხი. ვიზიტი მთლად ფოჩიანი კანფეტებით არ იყო უზრუნველყოფილი, მაგრამ გულიც არ გვატკინეს. ძალიან განმაცვიფრა იმ ფაქტმა, რომ საქართველოს ეკონომიკის მინისტრი გერმანელ პარტნიორებთან მნიშვნელოვან შეხვედრას არ ესწრებოდა.

– როგორ არ ესწრებოდა?

– დარწმუნებული ვარ, კრემლი საქართველოში ისეთი ეკონომიკური პროექტების განხორციელების წინააღმდეგია, რომელიც რუსეთის გვერდის ავლით ხორციელდება. რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია, მაგალითად, გერმანიის „დოიჩე ბანკის“ დაინტერესებით საქართველოს რკინიგზით, საქართველოში გაზსაცავის მშენებლობითა და ა.შ. ამ ყველაფრისთვის თავი რომ აერიდებინა, საქართველოს ახალი ეკონომიკის მინისტრი ამ შეხვედრებს არ ესწრებოდა. ცოტა რადიკალური ვიქნები ჩემს შეფასებებში და ვიტყვი, რომ დღევანდელი ეკონომიკის მინისტრი, ქობულია, არის იგივე, რაც იყო ვარდიკო ნადიბაიძე – შევარდნაძის დროს თავდაცვის მინისტრი. მინდა, ეს მომენტი ინტერვიუში იყოს. მინისტრის მოადგილე გენადი არველაძე იყო შეხვედრაზე. მან თქვა, რომ მინისტრი ქობულია შვებულებაშია. დარწმუნებული ვარ, ის არის რუსეთის გავლენის ქვეშ, რომელსაც რუსეთის პოლიტიკურ წრეებთან აქვს კონტაქტები. ამიტომ ეკონომიკური პროექტების გაფორმებაში მონაწილეობას შეგნებულად აარიდა თავი.

ილია მეორე მრევლს: „თქვენი ლოცვები მჭირდება“

– თქვენი ლოცვები მჭირდება. ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი პერიოდი, როცა უფალი ახლოსაა, როცა ადამიანი განსაკუთრებით გრძნობს უფლის სიახლოვეს და ეს სიახლოვე ასაზრდოებს და ანუგეშებს მას.

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

პატრიარქმა ქადაგებისას საკუთარ განსაცდელზეც ისაუბრა და ის შემთხვევა გაიხსენა, როდესაც უფლის სიახლოვე იგრძნო.

– ადამიანმა უნდა სთხოვოს უფალს, რომ ახლოს იყოს ამ რთულ დროს. დღეს არის ხსენება მაქსიმე აღმსარებლისა. დღეს მინდა გითხრათ თქვენ ჩემი გამოცდა, განსაცდელი, რომელიც მე გამოვიარე სასულიერო აკადემიის შემდეგ. მე მქონდა ასეთი შინაგანი კითხვა: რას ნიშნავს სიახლოვე უფალთან, რას გრძნობს ადამიანი ამ სიახლოვის დროს. მე აკადემიის შემდეგ უწმინდესმა და უნეტარესმა ეფრემ მეორემ დამნიშნა მცხეთის სამთავროს მონასტერში წირვა-ლოცვებისათვის. საოცარი რამ მოხდა. სახარების დროს მადლი გადმოვიდა. რაღაც გაურკვეველი მდგომარეობა იყო, როდესაც მე თითქოს გამოვეთიშე იმ წირვა-ლოცვიდან. ვერავის ვხედავდი. ვგრძნობდი სიახლოვეს უფალთან. წირვა ჩატარდა თავიდან ბოლომდე სწორად, მაგრამ ეს სიახლოვე უფალთან იმდენად ტკბილი, ამაღლებული და ტკივილი იყო სულიერი, რომ როდესაც წირვის ბოლოს შემოვიდა მონაზონი, იმ დროს გამოვედი მდგომარეობიდან. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ იმდენად არაჩვეულებრივი იყო ეს ხილვა, იმდენად დიდი იყო მადლი, რომ არ შემეძლო არც ლაპარაკი და არც საჭმლის მიღება. მთელი სხეული განიცდიდა ამ მდგომარეობას. შეიძლება თქვენც გაქვთ ეს, შეიძლება იყოს ცხოვრებაში ერთხელ ან ორჯერ. ეს არის მოვლენა და იმისთვისაა წმინდა მოვლენა, რომ სრულიად განამტკიცოს ადამიანი ღმერთმა და ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ უფალი არ გვტოვებს ჩვენ, – განაცხადა პატრიარქმა.

ამასთან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა აღნიშნა, რომ 25 აგვისტოს მას ეპისკოპოსად კურთხევის 55 წელი შეუსრულდა.

– 25 აგვისტოს შესრულდა 55 წელი ჩემი ეპისკოპოსად კურთხევისა. თქვენი ლოცვები მჭირდება. თქვენი ლოცვები რომ არ ყოფილიყო, ვერ ავიტანდი იმ განსაცდელს, რომელიც გამოვიარე, – განაცხადა ილია მეორემ.

აზერბაიჯანი რუსეთს უახლოვდება

რა ხდება სამხრეთ კავკასიაში

მარიამ მჭედლიშვილი

გერმანიის კანცლერის სამხრეთ-კავკასიური ტურნეს შემდეგ განსახილველი თემა გახდა სხვა რეალობა, რომელშიც კავკასიური სახელმწიფოები აღმოჩნდნენ.

შეცვლილი რეალობა არ უკავშირდება ევროინტეგრაციას. საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს დიდი ხანია, ერთად აღარ განიხილავენ ევროკავშირთან ურთიერთობის გაღრმავების კონტექსტში. ანგელა მერკელის ტურნეს მთავარი მიზეზი კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსები, გაზი და ევროპასთან დამაკავშირებელი ახალი გაზსადენი იყო.

გაზსადენის ამ პროექტში ჩართვის პარალელურად, აზერბაიჯანი გამოთქვამს სურვილს, მიუერთდეს კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია ოდკბ-ს. რეგიონული უსაფრთხოების ამ ორგანიზაციის წევრები არიან რუსეთი, ბელარუსი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი.

აზერბაიჯანის თაობაზე ორგანიზაციაში კონსულტაციები მიმდინარეობს. ბაქო შეიძლება მიიღონ ოდკბ-ში სრულუფლებიან წევრად ან დამკვირვებლისა და პარტნიორის სტატუსით. რეალურია მისი მონაწილეობა ოდკბ-ს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში.

რუსეთის ინიციატივით შექმნილ ორგანიზაციაში პარტნიორებად ან დამკვირვებლებად შესვლა უნდათ ასევე ირანს, სერბეთს, ავღანეთსა და უზბეკეთს.

ექსპერტები აზერბაიჯანის ამ მისწრაფებას ახალ გეოპოლიტიკურ პირობებს უკავშირებენ. ერთი მხრივ, ესაა რუსეთ-თურქეთის დაახლოება, მეორე მხრივ, სომხეთში მიმდინარე პროცესები და ერევნის პოზიციის შესუსტება ოდკბ-ში. ბაქო იმედოვნებს, რომ გახდება მოსკოვის მთავარი მოკავშირე სამხრეთ კავკასიაში.

უსაფრთხოების ორგანიზაციაში სომხეთისა და აზერბაიჯანის ყოფნა იმის მომასწავებელი იქნება, რომ რუსეთის საშუამავლო საქმიანობა გააქტიურდება მთიანი ყარაბაღის მოგვარების პროცესში. აზერბაიჯანისათვის მომგებიანია, თუ ამაში ჩაებმებიან ასევე ორგანიზაციის წევრები, ბელარუსი და ყაზახეთი, რომლებიც აზერბაიჯანს კარგი თვალით უყურებენ.

ექსპერტების ინფორმაციით, ბაქო მოსკოვისკენ ანკარასთან შეთანხმებით იხრება. ამასთან, ის ხელს უწყობს ანტირუსული განწყობების გაღვივებას სომხეთში.

ამასობაში სომხეთში გახშირდა პროგნოზები ყარაბაღის გამო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ფართომასშტაბიანი ომის დაწყების თაობაზე. სომეხი პოლიტოლოგები ციტირებენ ამერიკელი ანალიტიკოსების ანალიზს. ამ დოკუმენტებით, 2018 წელს მოსალოდნელია მსხვილმასშტაბიანი ომი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. ამას ხელს უწყობს აზერბაიჯანული არმიის მოდერნიზება, ბაქოს სამხედრო კავშირები რუსეთთან, ისრაელთან და სხვა სახელმწიფოებთან.

სომეხი ანალიტიკოსები სომხეთისთვის სარისკოდ მიიჩნევენ კასპიისპირეთში მომხდარ ძვრებს. მათი აზრით, კონვენცია კასპიის ზღვის სტატუსის შესახებ სახიფათოა როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

ამ კონვენციის ამოქმედებით მცირდება სომხეთის სამხედრო-პოლიტიკური როლი. რუსეთი ისედაც აკონტროლებს კასპიისა და შავი ზღვის რეგიონებს და ახლო აღმოსავლეთის დიდ ნაწილს. ამ ვითარებაში სომხეთი რუსეთის ფორპოსტი ვეღარ იქნება.

კონვენციით აქტიურდება აზერბაიჯან-ირანის, ასევე აზერბაიჯან-ირან-რუსეთის ეკონომიკური თანამშრომლობა. სათუო ხდება ენერგეტიკული დერეფნის იდეა ირანს, სომხეთს, საქართველოსა და რუსეთს შორის.

სომხეთი გამოსავალს ირანთან თანამშრომლობაში ხედავს. ერევანი უარს ამბობს ანტიირანულ სანქციებთან მიერთებაზე. სომხეთისთვის მნიშვნელოვანია ირანთან დამაკავშირებელი რკინიგზის აგება. რკინიგზის ირანის მონაკვეთს თეირანი დააფინანსებს. სომხეთსა და ირანს შორის მიღწეულია შეთანხმება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ერთობლივ წარმოებაზე. მისი გატანა იგეგმება ევრაზიული ეკონომიკური კავშირის სივრცეში.

მიმდინარე მოვლენები საქართველოზე აისახება. საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის შესუსტებას ქართველი ანალიტიკოსებიც არ გამორიცხავენ.

ლევან ჩუბინიძე: „ღვინის ტურიზმში უცხოური გამოცდილება გვაკლია“

რა პრობლემები აქვს ქართულ ღვინოს, რა სჭირდებათ ყველაზე მეტად მეღვინეებს, როგორია კონკურენცია ამ ბიზნესში და რამდენად კარგი პარტნიორია ბანკი? – ამ და სხვა თემებზე „კომერსანტთან“ ღვინის ტურიზმის ასოციაციის პრეზიდენტმა ლევან ჩუბინიძემ ისაუბრა.

– როგორ არის საქმეები, რა ხდება ღვინის ტურიზმის ასოციაციაში?

– არაჩვეულებრივად, მიდის წინ ყველაფერი და მივყვებით ცხოვრებისეულ დინებას.

– რამდენად მიჰყვება ამ დინებას ბიზნესი? ღვინის სექტორს ვგულისხმობ.

– შეძლებისდაგვარად, ყოველთვის ჯობია უფრო ჩქარა იცურო თუნდაც დინების საწინააღმდეგოდ, რომელიც არ არის ცუდი. იმიტომ, რომ არ იქნება კარგი, რომ მკვდარი თევზებივით გავეკიდოთ ამ დინებას, რაღაც ჩვენიც უნდა შევიტანოთ. თან, მარტო ჩვენ არ უნდა ვიცუროთ, პარტნიორიც უნდა ვაცუროთ, რომ უფრო მეტი სიამოვნება მივიღოთ.

– სახელმწიფო უფრო კარგი პარტნიორია თუ ბიზნესი, თუ რაღა ერთი და რაღა მეორე?

– საერთოდ კარგი პარტნიორი ბიზნესიდან იქნება, თუ სახელმწიფოს მხრიდან, მაინც ყველა სფეროში შეიძლება მოიძებნოს. თან, მას კარგი მასპინძლობაც უნდა შესთავაზო, მაგრამ კარგი პარტნიორი ცოტა არ იყოს ძნელი საძებნია მაინც.

– რომელი უფრო აქტიურობს? სახელმწიფო გამოდის თუ არა ინიციატივებით?

– ვერ ვიტყვი, რომ არ წყვეტენ ჩვენთან მოლაპარაკებებზე წამოსვლას, რომ ყველაფერზე თანახმა არიან, რასაც ვთავაზობთ, მოდი ოღონდ თქვენ რაღაც მოიფიქრეთ. პირიქით, რაღაც პესიმიზმშიც შეიძლება გადამივიდეს საუბარი.

– ამჟამინდელი მთავრობის ეკონომიკური გუნდიდან ვისთან დაგილევია?

– არ მახსენდება.

– რომ დალიო პრემიერ-მინისტრთან, რაზე ისაუბრებდით?

– ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

– ეკონომიკურ საკითხებზე?

– მშპ-ს გაზრდაზე.

– როგორ გესახება ეს ყველაფერი?

– სოფლის მეურნეობის აქტივების გაზრდით.

– მშპ-ს გაზრდა ფხიზლად შეიძლება, თუ გრადუსში უნდა იყო?

– მაგრად მუშაობს გრადუსი გადაწყვეტილებების მიღებასა და მათ დროულად შესრულებაში. მონიტორინგშიც.

– რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს ღვინის ტურიზმი?

– ბევრი გამოწვევა აქვს, პირველ რიგში, ის რომ ჩვენ გვაკლია ამ მხრივ უცხოური გამოცდილება ტურიზმში. ღვინო ძალიან კარგი გვაქვს, მაგრამ ღვინის ტურიზმის სფეროში კარგი იქნება, რომ სხვა ქვეყნის მაგალითები გადმოვიტანოთ. ძალიან კარგი იქნება, რომ მეღვინეები, რომლებიც დადიან უცხოეთში: საფრანგეთში, იტალიაში, ან ამერიკაში, – ეცნობიან, როგორ მუშაობს ღვინის ტურიზმი, როგორ მოქმედებენ, საიდან დაიწყეს, რა ეტაპები გაიარეს, ახლა სად არიან, რა მიზნები აქვთ , ყველას ჩამოაქვს ეს თავის ქვეყანაში, თუნდაც 100%– რაც მოისმინა, იქიდან 10% მაინც რომ განვავრცოთ ჩვენს ბიზნეს საქმიანობაში, უკვე ძალიან დიდი ნაბიჯი იქნება.

– ვისთან ისურვებდი ბიზნესმენებიდან დალევას?

– ნებისმიერთან. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ კარგი ღვინო დავლიო მათთან. საერთოდ, კარგი იქნება, თუ მე ავარჩევ ღვინოს.

– ერთიანი ლოჯისტიკის განვითარებას რა აფერხებს დღესდღეობით?

– ძალიან გვჭირდება მარკეტინგული განვითარება, ცნობადობის ამაღლება. არის ძალიან ბევრი ლოკაცია, რომელსაც საიტი არ აქვს.

– ვისი პრეროგატივაა ეს?

– ალბათ თავიანთი, მაგრამ ისინი იმდენი გამოწვევების წინაშე დგანან, რომ რთულია ბევრი რამის კეთება. მცირე და ოჯახურ მეურნეობებს სჭირდება მარკეტინგულ, ფინანსურ, ბუღალტრულ საკითხებში დახმარება. თან ეს ყველაფერი კანონმდებლობასთან უნდა იყოს მორგებული, რადგან გადასახადები უნდა გადაიხადონ. გადასახადის გადახდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯია.

– კითხვა მარსზე ქართული ღვინის ათვისებასთან დაკავშირებით – საქართველო ხომ არ აგვეთვისებინა ჯერ?

– ვაზზე იყო საუბარი. ძალიან კარგი იდეაა, მარსზე რომ ღვინო დაყენო, ჯერ ვენახი უნდა მოაშენო, თუ ამ ვენახის მოშენებაზე, ქართული ვაზი იქნება, მაშინ გამოვა, რომ ქართულ ღვინოს მივიღებთ.

– განვითარების პერსპექტივა საქართველოში როგორია, მალე იქნება თუ მარსის პერსპექტივაა?

– ჩვენ მარსის პერსპექტივას, რომ დაველოდოთ შეიძლება დაგვასწროს კიდეც, იმიტომ რომ ტექნოლოგიების განვითარებით ძალიან მარტივად მოხდება ეს ყველაფერი. ნიადაგის ანალიზიდან უნდა დავიწყოთ, რომ ამაში დავეხმაროთ ხალხს.

– 2023 წელს ქართული ღვინის ტურიზმი სად იქნება?

– ერთი საკითხი ის არის, რომ ადგილობრივი წარმოებიდან, რომელ ჯიშებს გავუშვებთ, ან ცალკე ახალი უნდა გამოვიყვანოთ, ეგეც საინტერესოა.

– „მანავის მწვანე“ გაქაჩავს მარსზე?

– მარსის მწვანე დაერქმევა ეგრევე.

– მგონი, ადესა ყველგან გაქაჩავს.

– როგორც ღვინის ტურიზმის ასოციაციას, ადესასთან დაკავშირებით ჩანაცვლების პროექტის განხორციელება გვინდა. ჩემი ძალიან დიდი მიზანია, რომ ყველა რეგიონში გაკეთდეს სანერგე მეურნეობა, სადაც გამოიყვან ადგილობრივ კლიმატზე მორგებულ ვაზის ჯიშებს, რაც ქართული შედის ამ ჩამოთვლილ ჯიშებში. გლეხთან ვერ მიხვალ და ვერ ეტყვი, რომ მოდი ადესა მოჭერი. ჩანაცვლება კი ნიშნავს იმას, რომ ნერგს გამოიყვან, ადესასთან ჩარგავს და შეადარებს 4 წლის მერე მოსავლებს. ეს იმისთვის, რომ ცვლილება არ განიცადოს და ღვინო არ დაკარგოს.

– წარმოიდგინე გაქვს ორი კალათა. ერთ კალათაში ყრია პორტუგალია, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, მეორე კალათაში – ჩილე, არგენტინა, სამხრეთ ამერიკა. სად ჩააგდებდი საქართველოს?

– ზოგადად, ევროპული ინტეგრაციის დიდი მომხრე ვარ, თუმცა ის, თუ დაყენების როგორი ტრადიცია აქვს ქვეყანას, საიდან მოდის ეს და რა გზა გამოიარა ამან, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მიყვარს ჩემი და ვერაფერს ვხედავ ამაში ცუდს, რომ ჩემი მიყვარს. მაგრამ ის, რაც ჩვენ გვაქვს ბევრს არ აქვს და ის, რაც ბევრს აქვს, ჩვენ არ გვაქვს. ამიტომ მინდა, რომ ის, რაც ჩვენ არ გვაქვს სხვისგან ადვილად ავითვისოთ, ვიცოდეთ და ვნახოთ. ნახვას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა.

– ევროპისთვის ქართული ღვინო ახალია. თქვენი აზრით, თუ შევადარებთ დახლებზე ჩილეს პროდუქციას, რა შანსები აქვს საქართველოს?

– შანსები დიდი აქვს. აქ მიდის რაოდენობაზე და ხარისხზე საუბარი. ჩილეს ქვეყნის ინვესტიცია, როგორც ღვინის სფეროს განვითარება, უფრო რაოდენობაზე, ავტომატიზებულ სისტემასა და სასათბურე პირობებზეა დამოკიდებული, რაც ჩვენ არ გვაქვს, ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, რომ გავაკეთოთ ხელით. საქართველოში არსებობს როგორც ბიო, ისე ქარხნული მიმართულება. ერთმანეთში შეიძლება არ აქვთ კარგი კონტაქტი, მაგრამ ასეც უნდა იყოს და ამას ვერ გავექცევით. გემოვნების ამბავია, ვინ რომელს აირჩევს. მე მინდა რომ კარგი ღვინო დავლიო სუფთა და ჯანმრთელი.

– რელევანტური ფასებია საზღვარგარეთ ქართულ ღვინოზე თუ გაბერილია?

– ვერ ვიტყოდი, რომ გაბერილია, მე ვიტყოდი, რომ ცოტა კიდევ უნდა გავბეროთ. ხარისხი მოგვცემს ამის საშუალებას. ხარისხს თუ დავიჭერთ, უკეთესია. ღვინის პრობლემა არის ტრანსპორტირება, მისთვის გვჭირდება ჩვენ დანამატი. შეიძლება აქ შეიძინო ღვინო, ჩაიტანო ამერიკაში და ის ღვინო აღარ იყოს. ამის მიზეზი არ არის ის, რომ არასწორი ღვინოა აღებული, მან უბრალოდ ტრანსპორტირების დროს განიცადა ცვლილება, იმიტომ რომ ცოცხალი ორგანიზმია. მასში არის კარგი, საჭირო ბაქტერიები, რომლებიც ინახავს და უნდა იყოს კიდეც ღვინოში.

– ქართული ღვინის ინდუსტრიას აქვს ბაქტერიები?

– ბაქტერიები ყველას აქვს.

– ჰქვიათ თუ არა ამ ბაქტერიებს კონკრეტული სახელები?

– მაგის ჩამოთვლა...

– მოდი, წარმოვიდგინოთ იმიტირებული სუფრა. შენ ანაწილებ პოზიციებს. ვისით დააკომპლექტებდი ამ სუფრას (როგორც ბიზნესმენი, ისე ეკონომიკური გუნდიდან), მამუკა ბახტაძე როგორი თამადა იქნება?

– თამადას ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ბულბული უნდა დასვას ჭიქაზე. ქართულმა სუფრამ დროთა განმავლობაში განიცადა დეგრადაცია, იმიტომ რომ თამადის ინსტიტუტი გახდა მომაბეზრებელი. იყო პერიოდი, როდესაც წამოდგებოდა თუ არა თამადა, ყველა მისჩერებოდა მას და აინტერესებდათ, რას იტყოდა და უნდოდათ კიდეც, მისი მოსმენა. ის ისე უნდა ლაპარაკობდეს, რომ სტკიოდეს, გულიდან ამოსდიოდეს. როცა გტკივა, ისე ამბობ, რომ ყველას უნდა შენი უფრო გაგება. წიგნებიც არის გამოსული, მასე თუ დაიზეპირა და ასე მიყვა, ვერავის მოაწონებ თავს.

– საბანკო სექტორზე მინდა გკითხო, როგორი პარტნიორია კომერციული ბანკი ბიზნესისთვის?

– ვერ ვიტყვი, რომ გადასარევი, იმიტომ, რომ ჩემთვის ბანკი მხოლოდ კომერციული სტრუქტურა არ არის, საბანკო სექტორს დიდი როლი უჭირავს, ესეც იმიტომ რომ თვითონვე აფასებენ რისკებს, მათ ეროვნული ბანკიც უდგება გვერდში. მაგრამ ჩემთვის მაინც მნიშვნელოვანია ის, რომ საბანკო სექტორი ქმნის ქვეყანაში ამინდს და ძალიან გამაღიზიანებელია ეს სესხების ვერ გადახდა. ძალიან ბევრი ადამიანია, რომელიც გაუბედურდა. ეს გაცემის პრინციპები, რისკები რაღაცაში მეტად ფასობს და რაღაცაში – ნაკლებად.

– ბანკირი მეგობრები თუ გყავს?

– არა, მაგრამ საბანკო სექტორიდან მყავს მეგობრები, რომელთაც აქვთ შეხება ფინანსურ საკითხებზე. მეც ფინანსისტი ვარ.

– პროფილურად თქვენს საქმიანობას ექცევა ყურადღება?

– როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, იმ დონეზე ბევრი საქმეა გასაკეთებელი და სამუშაო, რომ ვერასდროს ვიტყვი, რომ საკმარისია მათი დახმარება და ჩართულობა. ყოველთვის მეტი და მეტი სჭირდება, რადგან სფერო ძალიან ფართომასშტაბიანია და ბევრი რამეა ასათვისებელი, რომ არასდროს იქნება ეს საკმარისი.

– ამ დარგში ყველა მსხვილი ღვინის კომპანია თვითონ ავითარებს საკუთარი ღვინის ტურიზმის დარგს? შეიძლება თუ არა, შევადაროთ ბაყბაყდევს?

– ვერ ვიტყოდი, იმიტომ რომ ბაყბაყდევის ამბავში ერთი წყალია და მე ჩემს წყალზე ვარ მომჯდარი და არავის ვალევინებ. თუმცა ბიზნესში ასე არ არის, მე ჩემი წყალი მაქვს, შენ შენი, და ვისაც გინდა იმას დაალევინე, არის წყლები, შესაბამისად, არის ღვინოც, ვნახიც. მე მქონდა საშუალება და მოვაჯექიო – გვეტყვის, ჩვენ კი ვერ ვიტყვით, რომ ის ბაყბაყდევია, ის გადასახადებს იხდის და ბევრ ადამიანს ასაქმებს. ასე რომ, რაც არ უნდა ღვინო იყოს პირველი საკითხი, სახელმწიფო ინტერესების დაცვა და გადასახადების გადახდა ყოველთვის უპირატესი იქნება მასზე. შეიძლება კარგი ღვინო გააკეთო, მაგრამ აუცილებელია, რომ შენი წვლილი შეიტანო შენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

სააკაშვილი: „მოძველებული საბანკო სისტემა უნდა მოვიშოროთ“

საქართველოს მესამე პრეზიდენტი და ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი რუსული ბლოკჩეინ კომპანია Финолог-ის ელჩი გახდა. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვა Финолог-ის ოფიციალურ ჯოუტუბე-ზე გამოქვეყნდა, სადაც სააკაშვილი თავისი ახალი სამუშაო სფეროსა და ბლოკჩეინ ტექნოლოგიების შესაძლებლობების შესახებ საუბრობს.

– საბანკო სისტემა მოძველებულია. ბანკები თანამედროვეობის გამოწვევებთან მიმართებით სრულიად უსარგებლოები არიან. ისინი მცირე და საშუალო ბიზნესებს დაფინანსებაზე ხშირად უარს ეუბნებიან. იმიტომ, რომ თავიანთ დიდ პროექტებზე მუშაობენ. ამიტომაც, ბანკები მოძველებულ, შუასაუკუნეობრივ ინსტიტუტს წარმოადგენს. დღევანდელი ბლოკჩეინ ტექნოლოგიებით, პრაქტიკულად ბანკების საჭიროება ქრება. რა არის ბანკი? ბანკი არსებობს მაშინ, როდესაც არ არსებობს ადამიანთა შორის ურთიერთნდობა. როდესაც ორი ფინანსური აქტორი ერთმანეთს არ ენდობა, მათ სჭირდებათ ნდობის გარანტორი, რათა განახორციელონ ტრანზაქცია.

ბლოკჩეინი შესაძლებლობას გვაძლევს ჩავანაცვლოთ ბანკები, ისეთი სისტემით, რაც ბანკის მომსახურებაზე ბევრად იაფია და თანაც, ბანკთან შედარებით, უფრო სანდოა. ეს არის ზუსტად ის რასაც კომპანია Finolog-ი აკეთებს. ეს არის გლობალური საფინანსო ბაზრის მომავალი. ეს არის მსოფლიოს ეკონომიკის მომავალი, მომავალი, რომელშიც ადამიანები ერთმანეთს ეხმარებიან.

მე არ ვარ ფინანსური მრჩეველი, მე არავინ მიხდის, რათა რეკლამირება გავუწიო Finolog-ს. მე ძალიან მომწონს ეს იდეა, ბლოკჩეინის იდეა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ უნდა მოვიშოროთ მოძველებული საბანკო სისტემა. მოვიშოროთ ბანკები, რომლებიც ეკონომიკას ამუხრუჭებენ.

მთავარია შედეგი, თუ რა მოაქვს ბლოკჩეინსა და კრიპტოტექნოლოგიებს, ეს არის შედეგი, რომ კრედიტი ბევრად ხელმისაწვდომი და იაფი ხდება ყველასთვის. ეს არის ის, რასაც აკეთებს Finolog და სხვები, – ამბობს სააკაშვილი.

Ipress

ტაქსების პრობლემა თბილისის აეროპორტში

თაღლითი ტაქსისტები ყველგან არიან. ბევრს ვმოგზაურობ და უკვე აღარც ვაქცევ ყურადღებას გაიძვერა მძღოლებს, აეროპორტის გასასვლელთან ფარისეველი ღიმილითა და საქმიანი მოძრაობებით რომ გზას ჩაგიკეტავენ და წაგჩურჩულებენ – „ტაქსი დაგჭირდება?“.

„ტაქსი დაგჭირდება?“, „ტაქსი გინდა?“, „საით, ძმობილო?“ – ეს საქართველოში. მაგრამ, სხვაგანაც ასეა, სხვა ქალაქებშიც. ნიუ იორკის აეროპორტში გაიძვერა ტაქსისტებს დისპეტჩერები უმკლავდებიან – სწორედ მათი დახმარებით (და ზედამხედველობით!) იცავენ რიგს მძღოლებიც და მგზავრებიც. თუმცა, ყოველთვის არ იყო ასე – თავის დროზე სწორედ ნიუ იორკის აეროპორტები გამოირჩეოდა, თურმე, თაღლითი ტაქსისტების განსაკუთრებული სიმრავლით; ცნობილია, მაგალითად, შემთხვევა, როცა კენედის აეროპორტიდან მანჰეტენამდე ნიგერიელი სტუდენტებისთვის ტაქსისტს 1.350 დოლარი წაურთმევია. მერე აურჩევიათ ქალაქის მკაცრი მერი, ჯულიანი, „ნულოვანი ტოლერანტობის“ ცნობილი მომხრე და დაუმყარებია წესრიგი.

სააკაშვილიც პატივს სცემდა, მგონი, ამ კაცს. ნაციონალური მოძრაობის მმართველობის წლებში თბილისის აეროპორტში ნაკლებად ნახავდით კარებთან ჩასაფრებულ აფერისტ მძღოლებს. უფრო მეტიც, 2007 წელს მიხეილ სააკაშვილმა აეროპორტში გახსნა რკინიგზის სადგური, რომელსაც „ნამდვილი სენსაცია“ უწოდა. „უენეკის აეროპორტის რკინიგზასაც კი ჯობიაო“, გვითხრა (ხომ გახსოვთ, როგორ უყვარდა შედარებები და დატოლებები?). თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მატარებლის გრაფიკი თვითმფრინავების განრიგს ნაკლებად დაემთხვა. ამიტომ, აეროპორტის რკინიგზამ, რომელიც 13 მილიონი ლარი დაჯდა, მალე დაასრულა თავისი ისტორია.

ტაქსები თბილისის აეროპორტში

საქართველოს ხელისუფლებაში მოსულ „ოცნებას“, მოგეხსენებათ, არაფერი მოსწონდა, რაც „ნაცებმა“ გააკეთეს, ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ არც არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ღამით თბილისის აეროპორტში ჩამოფრენილი მგზავრისთვის ელემენტარული პირობა შეექმნა დედაქალაქში მოსახვედრად. უფრო მეტიც, „ტოიოტა-ტაქსი“, რომელიც აეროპორტის გასასვლელთან იყო გამაგრებული, ძალაუფლების ხიბლმა ისე გაათავხედა, რომ მოტყუებული უცხოელი მგზავრებიდან ადგილობრივ მოსახლეობაზე გადავიდა... 3 დღის წინ „ტოიოტის“ მძღოლმა აეროპორტიდან აღმაშენებლამდე 60 ლარი მოგვთხოვა! ქართულ ენაზე. ზუსტად ასე: „აღმაშენებლამდე 60 ლარი დაჯდება, გენაცვალე!“... აეროპორტის პრივილეგირებული ტაქსი ინარჩუნებს სტილს უცხოელებთან ურთიერთობაშიც: რუსულენოვანისთვის ტარიფი სხვაა, ევროპელისთვის – სულ სხვა და აზიელისთვის – კიდევ სხვა. სალომე ზურაბიშვილის რიტორიკას თუ მივმართავთ – „ელიტარული ტურისტისგან“ სხვა თანხას თხოულობენ და ზურგჩანთიანი უცხოელი ყმაწვილისგან – სულ სხვას. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს – „ტოიოტა-ტაქსი“ კვლავაც რჩება მთავარ მოთამაშედ თბილისის აეროპორტის გასასვლელში. ყველა სხვა მანქანას, სხვა ტაქსის აკრძალული აქვს გასასვლელთან დამუხრუჭებაც კი. თუკი შეძლებთ მანქანის ტელეფონით გამოძახებას, იმის იმედი ნუ გექნებათ, რომ მძღოლი მოახერხებს და დაგიცდით, სანამ მანქანაში ბარგს ჩადებთ: აეროპორტის გასასვლელთან დგას არა მარტო ფირმის დისპეტჩერი, რომელსაც ეღიმება უცხოელებთან მოვაჭრე თავის მძღოლებზე... გასასვლელთან დგას პატრული, რომელიც სხვა მანქანებს დამუხრუჭების საშუალებას არ აძლევს. ეს „ტოიოტა-ტაქსის“ სამეფოა, მეგობრებო. ამიტომ, ფასებს აქ სწორედ ეს ფირმა აწესებს. თუ არ გაწყობთ, ნუ გაწყობთ... ავტობუსით წადი ქალაქში.

ტოიოტა-ტაქსი თბილისის აეროპორტში

ის, რაც შუაღამისას თბილისის აეროპორტის კართან ხდება, ეს პატარა ბაქანი, გაკრიალებული „ტოიოტებით“, თავგასული დისპეტჩერებითა და ნერვიული პატრულით, დიახაც, დღევანდელი საქართველოს სახეა... კარგით, სახე თუ არაა, შესასვლელი ხომ არის დღევანდელ საქართველოში? თუკი მძღოლი უკვე სახალხოდ, ყველას დასანახად ატყუებს უცხოელ სტუმარს (ჩვენი ჩამოსვლისას „ტოიოტა-ტაქსის“ მსხვერპლი რომელიღაც რუსი ტურისტი აღმოჩნდა – ქალს მაინც არ უპასუხეს, აქვთ თუ არა მრიცხველი მანქანაში), გამოდის, რომ მას არც ჩვენი აზრი აინტერესებს. უფრო სწორად, დარწმუნებულია, რომ მეტნაკლებად, მაგრამ ჩვენც გავუგებთ მის ეშმაკობებს და შეიძლება, მოვუწონოთ კიდეც ეს უტიფრობა.

ხედავთ რა ხდება? ადამიანების მოტყუება, ან, შინაურულად რომ ვთქვათ, მათი „დაგოიმება“ გადაიქცევა თეატრად, სცენად... ცოტაც და, მძღოლი ჩვენგან ოვაციებს მოითხოვს, რადგან დარწმუნებულია, რომ ჩვენც ზუსტად მასავით მოვიქცეოდით – იმდენს წავართმევდით უცხოელ სტუმარს, რამდენსაც შევძლებდით, რამდენის საშუალებასაც ამ უცხოელის უჭკუობა მოგვცემდა... და იღბალიც... უფალიც, რა თქმა უნდა!

ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ დაგვაგოიმეს, როცა ერთ კომპანიას, რომელსაც თბილისის აეროპორტი გადასცეს, უსაზღვრო ძალაუფლება არგუნეს. საქმე იქამდე მივიდა, რომ დღეს „ჯორჯიან ეარვეიზის“ თვითმფრინავის მგზავრები, პარიზიდან თბილისში ჩამოფრენის შემდეგ, ავტობუსით გადაჰყავთ აეროპორტის შენობაში (განსხვავებით თუნდაც, თურქული ავიაკომპანიების მგზავრებისგან, რომლებიც „ჩასხდომის ხიდით“ სარგებლობენ). შესაძლებელია, იმიტომ, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მმართველი „ტავ ჯორჯია“ მაინცდამაინც არ წყალობს ეროვნულ ავიაკომპანიას... ისევე, როგორც არ სწყალობს ტაქსის სხვა ფირმებს, რომელთა წინააღმდეგ აქ ყველა ერთადაა გაერთიანებული.

თბილისი ბერლინი არ არის, სადაც აეროპორტის ტაქსიში ჩაჯდომისთანავე მძღოლი მრიცხველს ჩაგირთავთ. არც მადრიდია, სადაც მერიამ ერთიანი ტარიფი დააწესა აეროპორტიდან ქალაქის ნებისმიერ რაიონში მგზავრობაზე (30 ევრო). თბილისში ბაზარი ბობოქრობს. ბაზარმა კი ასე მოინდომა – თავხედობა, ყველას დასანახად.

ჯერ სადა ვართ. აი, „ელიტარული ტურიზმი“ რომ გვექნება, მდიდარი ხალხი „პანორამა თბილისის“ სანახავად და გოლფის სათამაშოდ ჩამოვა. მერე ნახეთ თქვენ ტაქსისტების თეატრი და ქართული კაპიტალიზმის მოკრძალებული ხიბლი.

„ტოიოტა-ტაქსი“ თავის ვებგვერდზე სამსახურს სთავაზობს გამოცდილ მძღოლებს. ძირითად მოთხოვნებში შედის „ორგანიზებულობა“ და „პუნქტუალურობა“.

საქართველოს რკინიგზამ გასული წელი 354.1 მლნ ლარის ზარალით დაასრულა

სახელმწიფო კომპანია საქართველოს რკინიგზამ წლის პირველ ნახევარში 198.5 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდს 4.2 მლნ ლარით აღემატება.

რკინიგზის შემოსავლების ყველაზე დიდი წილი ტვირთების გადაზიდვაზე მოდის, – ამ გზით რკინიგზამ იანვარ-ივნისში 140.4 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო, თუმცა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ტვირთების გადაზიდვით მიღებული შემოსავალი 11.5 მლნ ლარით შემცირდა. 32.6 მლნ ლარამდე გაიზარდა ლოგისტიკური სერვისებით მიღებული შემოსავალი, სამგზავრო მომსახურებით მიღებულმა შემოსავალმა კი 9.4 მლნ ლარი შეადგინა. ვაგონების გაქირავებით რკინიგზამ წლის პირველ ნახევარში 12 მლნ ლარის შემოსავალი მიიღო. შემცირდა რკინიგზის მოგება და მან წლის პირველ ნახევარში 74.4 მლნ ლარი შეადგინა. 2017 წელი კი რკინიგზამ 354.1 მლნ ლარის ზარალით დაასრულა.

რა გახდა ზარალის მიზეზი? – ამ კითხვით საქართველოს რკინიგზას მივმართეთ, თუმცა ამ ეტაპზე უწყებაში კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებენ.

სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი პაატა ცაგარეიშვილი კი ვარაუდობს, რომ მსგავსი ზარალის მიზეზი, შესაძლოა, უღელტეხილზე მიმდინარე სამუშაოები გამხდარიყო, რომელსაც რკინიგზა საკუთარი ბიუჯეტიდან აფინანსებს.

უღელტეხილზე დღეს მიმდინარე სამუშაოებს რკინიგზა თავისი სახსრებით აფინანსებს. საკმაოდ დიდი თანხებია მიმართული პროექტზე, რომელიც მოგებას ამცირებს. თუმცა, მსგავსი ზარალი რკინიგზას აქამდე არ ჰქონია. მხოლოდ ერთ ახსნას ვპოულობ: ეს არის უღელტეხილზე გვირაბის რეკონსტრუქციის სამუშაოები. ამასთან, რკინიგზის შემოსავლებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ლარის კურსი, რადგან ტარიფების უმეტესობა დოლარშია დენომინირებული.

რკინიგზა მენეჯერულ მიმოხილვაში აღნიშნავს, რომ გასულ წელს კურსთა შორის სხვაობით კომპანიამ 112.3 მლნ-ის დანაკარგი მიიღო. გარდა ამისა, საქართველოს რკინიგზას უკავშირდება კიდევ ერთი მსხვილი პროექტი – თბილისის შემოვლითი რკინიგზა. თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობაზე 2012 წლამდე 210 მილიონ დოლარამდე დაიხარჯა. პროექტი 2013 წელს დაკონსერვდა. მთავრობის 2016 წლის 9 აგვისტოს განკარგულებით, პროექტის განხორციელების ფორმაზე საბოლოო გადაწყვეტილება „საქართველოს რკინიგზას“ განკარგულების ძალაში შესვლიდან ოთხ თვეში, მაქსიმუმ 2016 წლის 9 დეკემბერს უნდა მიეღო, თუმცა ხელისუფლებამ პროექტის განხორციელების ფორმაზე გადაწყვეტილების მისაღებად აღნიშნული ვადები ვერ გამოიყენა.

– პროექტის გაგრძელების ირგვლივ კვლავ მნიშვნელოვანი გაურკვევლობაა. მენეჯმენტი არ ელოდება, რომ პროექტი სამომავლოდ ეკონომიკურ სარგებელს მოიტანს რკინიგზისთვის, – ვკითხულობთ რკინიგზის წლიურ ფინანსურ აუდიტში.

2017 წელს საქართველოს რკინიგზამ 10,672,568 ტონა ტვირთი გადაზიდა, რაც 2016 წლის მაჩვენებელზე 1,209,166 ტონით, ანუ 10%-ით ნაკლებია. გასულ წელს განსაკუთრებით შემცირდა ტრანზიტული ტვირთების მოცულობა და თუკი 2016 წელს მათი რაოდენობა 6,183,037 ტონა იყო, გასულ წელს 4,976,434 ტონამდე შემცირდა. გადაზიდული ნედლი ნავთობის და ნავთობპროდუქტების რაოდენობა გასულ წელს, 2016 წელთან შედარებით, თითქმის მილიონი ტონით შემცირდა და 4,347,371 ტონა შეადგინა.

შემცირდა მარცვლეულის და მარცვლეულის პროდუქტების გადაზიდვის მაჩვენებელიც და 302,277 ტონა შეადგინა, ნაცვლად 448,128 ტონისა. თითქმის მილიონი ტონით შემცირდა რკინისა და მანგანუმის მადნის გადაზიდვის მაჩვენებელიც და 462,087 ტონა შეადგინა. გადაზიდული ფერადი ლითონის მადნების რაოდენობამ 507,335 ტონა შეადგინა, რაც თითქმის 13.000 ტონით გაზრდილი მაჩვენებელია. გაზრდილია ქიმიური და მინერალური სასუქების გადაზიდვის მაჩვენებელი და მან წლიურად 565,912 ტონა შეადგინა. გასულ წელს საქართველოს რკინიგზამ 41,392 TEU კონტეინერი გადაზიდა. საქართველოს რკინიგზის შემოსავლები წლების მიხედვით:

2012 – 469.8 მლნ ლარი; ტვირთების გადაზიდვით მიღებული შემოსავალი – 350 მლნ ლარი;

2013 – 481.7 მლნ ლარი; ტვირთების გადაზიდვით მიღებული შემოსავალი – 364 მლნ ლარი;

2014 – 511.5 მლნ ლარი; ტვირთების გადაზიდვით მიღებული შემოსავალი – 382.7 მლნ ლარი;

2015 – 574.7 მლნ ლარი; ტვირთების გადაზიდვით მიღებული შემოსავალი – 440 მლნ ლარი;

2016 – 439,9 მლნ ლარი; ტვირთების გადაზიდვით მიღებული შემოსავალი – 292,6 მლნ ლარი;

2017 – 434,5 მლნ ლარი; ტვირთების გადაზიდვით მიღებული შემოსავალი – 312,9 მლნ ლარი.

ფორბეს.გე

სად არის ყველაზე ძვირი სასტუმროები საქართველოში

2018 წლის ივლისში სასტუმროების სტანდარტული ორადგილიანი ნომრების ფასები ყველაზე მეტად აჭარაში – 10.1%-ით და სამცხე-ჯავახეთში – 5.9%-ით გაიზარდა, სასტუმროს ფასები მხოლოდ თბილისში შემცირდა – 1.2%-ით. PMCG-ის კვლევის მიხედვით, ივლისში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროს საშუალო ფასმა 148 ლარი შეადგინა, 4-ვარსკვლავიანი – 254 ლარი, 5-ვარსკვლავიანი – 455 ლარი, ხოლო საოჯახო ტიპის – 72 ლარი.

3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის ყველაზე მაღალი საშუალო ფასები რეგიონებს შორის სამეგრელო-ზემო სვანეთში – 180 ლარი და აჭარაში – 156 ლარი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ივლისში აღნიშნული რეგიონების 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა, ბოლო ათი თვის (ოქტომბერი – ივლისი) მაქსიმუმს მიაღწია. ივლისის თვეში, 3-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა ქვემო ქართლი – 89 ლარი და იმერეთი – 110 ლარი.

4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის, ყველაზე მაღალი საშუალო ფასები სამცხე-ჯავახეთში – 297 ლარი და კახეთში – 289 ლარი დაფიქსირდა. აღსანიშნავია, რომ ივლისში, სამცხე-ჯავახეთის და კახეთის 4-ვარსკვლავიან სასტუმროების საშუალო ფასმა, ბოლო ათი თვის მაქსიმუმს მიაღწია. ივლისის თვეში 4-ვარსკვლავიან სასტუმროთა შორის დაბალი ფასებით გამოირჩეოდა სამეგრელო-ზემო სვანეთი – 155 ლარი და იმერეთი – 219 ლარი.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა ივლისში 455 ლარი შეადგინა. თბილისში ამ ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 518 ლარი შეადგინა, სამცხე-ჯავახეთში – 443 ლარი, აჭარაში – 432 ლარი, ხოლო კახეთში – 408 ლარი. 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა, აჭარაში და სამცხე-ჯავახეთში, ბოლო ათი თვის მაქსიმუმს მიაღწია. თბილისში ბოლო ათი თვის განმავლობაში, 5-ვარსკვლავიან სასტუმროს ყველაზე მაღალი საშუალო ფასი ოქტომბერში დაფიქსირდა, ხოლო კახეთში – ივნისში.

ფორბეს.გე

რუსი გენერლის მიერ შეკვეთილი მკვლელობა

ვინ არის პატიმარი, რომელმაც დოდო გუგეშაშვილს სკანდალური ინფორმაცია მიაწოდა

თადარიგის ყოფილმა პოლკოვნიკმა დოდო გუგეშაშვილმა თავისი შვილის მკვლელობის შესახებ ივლისში „ნიუპოსტს“ სკანდალური ინფორმაცია მიაწოდა.

დოდო გუგეშაშვილი აცხადებდა, რომ მის ადვოკატ გელა ნიკოლეიშვილს ერთ-ერთმა პატიმარმა მიაწოდა ინფორმაცია, რომ მასზე განხორციელებული თავდასხმის უკან რუსეთის სპეცსამსახურები დგანან. თუმცა დოდო გუგეშაშვილს პატიმრის ვინაობა არ დაუსახელებია.

შაბათს ცნობილი გახდა, რომ ეს პატიმარი რამაზ მარგოშვილია. აღნიშნული ინფორმაცია „კურიერმა“ გაავრცელა. პატიმარი, რომლის ვინაობასაც გუგეშაშვილი არ აკონკრეტებს, ამტკიცებს, რომ გუგეშაშვილის მკვლელობა მას ჯერ კიდევ ერთი წლის წინ თურქეთში ერთ-ერთი რუსი გენერლის დავალებით დაუკვეთეს.

მარგოშვილი, რომელიც ახლა ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით სასჯელს იხდის, გასულ წელს თურქეთში მართლაც იმყოფებოდა.

კურიერის ინფორმაციით, მარგოშვილმა დოდო გუგეშაშვილის ადვოკატს მკვლელობის დამკვეთთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია გლდანის ციხეში შეხვედრის დროს მიაწოდა.

კურიერის ინფორმაციით, რამაზ მარგოშვილი რუს გენერალსა და მას შორის შუამავალსაც ასახელებს. მარგოშვილის გამოკითხვა გლდანის ციხეში უახლოეს დღეებში იგეგმება.

ამ საქმეზე საგამოძიებო უწყებაში უკვე დაკითხეს დოდო გუგეშაშვილი და მისი ადვოკატიც.

კასპში ყოფილმა პოლიციელმა ბიძაშვილი მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა

გუშინ, 26 აგვისტოს, კასპში, სოფელ ნოსტეში, მამაკაცმა ბიძაშვილი მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა.

შემთხვევა რამდენიმე ადამიანს შორის დაპირისპირების დროს მოხდა.

შელაპარაკების დროს კაცმა უმისამართოდ გაისროლა და ტყვია შემთხვევით მის ბიძაშვილს მოხვდა, რის შემდეგაც მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ კაცი, რომელმაც ბიძაშვილი მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა, ძალოვან სტრუქტურაში მუშაობდა.

ის შსს-ის ყოფილი თანამშრომელი იყო.

ბათუმში სიმამრმა სიძე დაჭრა

25 აგვისტოს, ღამით, ბათუმში ახალგაზრდა კაცი დაჭრეს.

ურთიერთშელაპარაკება მელაშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში სიძე-სიმამრს შორის მოხდა.

არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა კაცი სწორედ სიმამრის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად დაიჭრა.

დაჭრილი ახალგაზრდა მამაკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა. ის კლინიკა „მედცენტრში“, რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

როგორც ამავე საავადმყოფოში „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, დაშავებულს მუცლის არეში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა ჯანმრთელობის სირთულიდან გამომდინარე ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

მომხდარზე გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით მიმდინარეობს.

ცირკთან ეკონომიკის სამინისტროს მაღალჩინოსანი ოთარ იაშაღაშვილი ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს

ეკონომიკის სამინისტროს იმ მაღალჩინოსნის ვინაობა, რომელიც ნარკოდანაშაულის ბრალდებით 2 პირთან ერთად დააკავეს, კურიერისთვის ცნობილი გახდა.

ოთარ იაშაღაშვილი, სხვა დაკავებულებთან ერთად, სამართალდამცველებმა ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე იმ დროს აიყვანეს, როცა ერთ-ერთი მათგანი ნარკოტიკული საშუალების გასაღებას ახდენდა.

დაკავებული ოთარ იაშაღაშვილი ეკონომიკის ყოფილი მინისტრის, დიმიტრი ქუმსიშვილის, უახლოესი გარემოცვის წევრია. იაშაღაშვილი იურიდიულ დეპარტამენტს ჯერ ფინანსთა, მოგვიანებით კი ეკონომიკის სამინისტროში ხელმძღვანელობდა.

შეგახსენებთ, შსს-მ თბილისში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნარკოდანაშაულისთვის 3 პირი დააკავეს.

ბათუმში ბომბები აღმოაჩინეს

ბათუმში, ე.წ. გოროდოკის დასახლებაში, სადაც შემოვლითი გზის მშენებლობა მიმდინარეობს, დასაქმებულმა პერსონალმა გათხრების დროს საბრძოლო მასალასა და ჭურვებს მიაგნო, რის გამოც მუშაობა დროებით შეწყდა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე წლების წინ რუსული სამხედრო ბაზა ფუნქციონირებდა, სავარაუდოდ, სწორედ ამ ბაზის კუთვნილება იყო აღმოჩენილი საბრძოლო მასალა.

პირველადი მონაცემებით, საბრძოლო მასალა ვადაგასულია და საშიშროებას არ წარმოადგენს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შენახვას გულისხმობს.

ხაშურელ მამაკაცს ახალდაბაში ჯერ მანქანა, შემდეგ კი ტრაილერი დაეჯახა და მოკლა

24 აგვისტოს, საღამოს, ბორჯომის რაიონში, ახალდაბასთან მომხდარ ავარიას 46 წლის მამაკაცი ემსხვერპლა.

თვითმხილველების განცხადებით, მამაკაცს ჯერ მსუბუქი ავტომობილი, შემდეგ კი ტრაილერი დაეჯახა და მოკლა.

გარდაცვლილი ხაშურიდანაა.

შსს-ს ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევაში დამნაშავე მძღოლის დასაკავებლად ინტენსიური საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

კარალეთთან მერსედესი ამოტრიალდა

2 ადამიანი დაიღუპა



გორის რაიონში, სოფელ კარალეთთან მომხდარ ავარიას ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

მერსედესის მარკის მსუბუქი ავტომანქანა, რომელშიც მძღოლი და ორი მგზავრი იმყოფებოდნენ, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამოტრიალდა.

შემთხვევის შედეგად ავტომანქანაში მყოფი 58 წლის მამაკაცი ადგილზე დაიღუპა, მეორე პირი კი საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა. ავტომანქანაში მყოფი კიდევ ერთი მგზავრი გორის სამხედრო ჰოსპიტალშია მოთავსებული.

ახლობლები ამბობენ, რომ ავარია გზის ორმოულმა გამოიწვია, რომელიც დიდი ხანია, არხის სიახლოვეს მოასფალტების მიზნით გაამზადეს.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

ანაკლიაში ნარკოტიკების უკანონოდ შეძენა-გასაღების ბრალდებით 3 ირანელი დააკავეს

სამართალდამცველებმა ანაკლიაში, ელექტრონული მუსიკის ფესტივალის მიმდინარეობისას, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენის, შენახვისა და გასაღების ბრალდებით ირანის რესპუბლიკის 3 მოქალაქე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, სამართალდამცველებმა დაკავებულებისგან სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები იმ დროს ამოიღეს, როდესაც ისინი ნარკოტიკულ საშუალებებს მუსიკალური ფესტივალის დროს ასაღებდნენ.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა რამდენიმე დღიანი ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ანაკლიაში ელექტრონული მუსიკის ფესტივალის მიმდინარეობისას ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენის, შენახვისა და გასაღების ბრალდებით ირანის რესპუბლიკის 3 მოქალაქე დააკავეს: 1997 წელს დაბადებული ა. ღ, 1992 წელს დაბადებული მ. ზ. და 1992 წელს დაბადებული ჰ. ფ.

დანაშაული 6-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა დაკავებულებისგან სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები იმ დროს ამოიღეს, როდესაც ისინი ნარკოტიკულ საშუალებებს მუსიკალური ფესტივალის დროს ასაღებდნენ. ჰ.ფ.-ს და ა.დ.-ს დროებითი საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას კი პოლიციამ ასევე ნარკოტიკული საშუალება ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილით,“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რომ შსს-მ ანაკლიაში მიმდინარე ელექტრონული მუსიკის ფესტივალზე ნარკოდანაშაულისთვის 4 პირი 25 აგვისტოსაც დაიკავა.

სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულთა შორის ირანის 2 და საქართველოს 2 მოქალაქეა.

დანიაში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი გაიზარდა

საქართველოს საელჩო დანიის საელჩოში სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელიც ქვეყანაში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა მატებას ეხება. საელჩოს ინფორმაციით, 2018 წლის პირველი ექვსი თვის მონაცემებით, თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვი 124 -ს შეადგენს, 2017 წელს მათი რაოდენობა მთელი წლის განმავლობაში 76-ს არ აღემატებოდა.

დანიის სამეფოში საქართველოს ელჩ გიგი გიგიაძის განცხადებით, მკაცრი საიმიგრაციო რეჟიმის გათვალისწინებით, იმის ალბათობა, რომ საქართველოს მოქალაქეებს მისცენ თავშესაფარი, ფაქტობრივად, ნულის ტოლია.

შესაბამისად, სასურველია, საქართველოს მოქალაქეებმა თავი შეიკავონ დანიაში ამ მიზნით ჩასვლისგან, რადგან ისინი ამით მხოლოდ ქვეყნის იმიჯს შელახავენ.

– რამდენიმე წლის წინ ევროპაში დაწყებულმა მიგრაციის კრიზისმა დანიას ამ მიმართულებით მკაცრი პოლიტიკის გატარებისკენ უბიძგა. ერთის მხრივ, აქცენტი კეთდება ქვეყანაში უკვე ჩამოსული მიგრანტების მაქსიმალურ ინტეგრაციაზე. ამ მხრივ დანიის მთავრობის მიერ შემუშავდა სტრატეგია „დანია პარალელური საზოგადოების გარეშე“, რომელიც მიზნად ისახავს 2030 წლისთვის მიგრანტების სრულ ინტეგრაციას დანიურ საზოგადოებაში.

პარალელურად, დანიას მკაფიო პოზიცია გააჩნია ქვეყანაში მიგრანტთა ახალი ნაკადის შემოსვლასთან დაკავშირებით. ამიტომაც, კოპენჰაგენი საკმაოდ მკაცრი ზომებით ებრძვის არალეგალურ მიგრაციასა და ცდილობს თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის შემცირებას. გამკაცრდა და სკრუპულოზული გახდა აპლიკაციების შემოწმების პროცესი. შედეგად, 2018 წელს, თავშესაფრის მაძიებელთათვის დაკმაყოფილებულ აპლიკაციათა რაოდენობამ ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში. მაგალითისთვის, 2018 წლის პირველ ნახევარში დანიის საემიგრაციო სამსახურმა მხოლოდ 581 თავშესაფრის მაძიებელს დაუკმაყოფილა მოთხოვნა, მაშინ როდესაც 2015 წელს ეს რიცხვი 10849 იყო.

ანალიტიკოსთა შეფასებით, თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის კლება უმთავრეს მიზეზად დანიის მიერ მკაცრი საემიგრაციო პოლიტიკის მქონე ქვეყნის რეპუტაციის მოპოვება სახელდება, რაც მიგრანტებს დანიაში ჩასვლის მოტივაციას უკარგავს.

მიუხედავად ამისა, მიღწეულ შედეგებს არ ჯერდება და ქვეყნის საემიგრაციო პოლიტიკის კიდევ უფრო გამკაცრების მოთხოვნით გამოდის დანიის სახალხო პარტია, რომელიც ქვეყანაში სიდიდით მესამე პოლიტიკური ძალაა და მმართველი კოალიციის მოკავშირეა პარლამენტში. კიდევ უფრო მკაცრია დანიელი „ახალი კონსერვატორების“ პოზიცია, რომლებიც მომავალ არჩევნებში მხარდაჭერის სანაცვლოდ ქვეყნის პრემიერს შემდეგ მოთხოვნებს უყენებენ:

1. 0 თავშესაფრის მაძიებელი ქვეყანაში;
2. ყველა უცხოელი კრიმინალის დაუყოვნებლივი დეპორტაცია;
3. მხოლოდ თვითკმარი მიგრანტების შემოშვება ქვეყანაში, – ნათქვამია საქართველოს საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ემუქრება თუ არა ტრამპს იმპიჩმენტი?

ტრამპის საარჩევნო შტაბის მეთაურ მანაფორტის სასამართლო პროცესმა უამრავი სენსაციური ფაქტი გამოავლინა. ცხადი გახდა, რომ მანაფორტი ფინანსურ მაქინაციებს ეწეოდა. ტრამპის ადვოკატ კოენსაც იგივე დაუმტკიცდა. აშშ-შიც ტრამპის იმპიჩმენტზე ალაპარაკდნენ. ამის თაობაზე უკვე წამყვანი ამერიკული გაზეთები წერენ.

იმპიჩმენტის პროცედურა ფრიად ხანგრძლივი და რთულია. პრეზიდენტმა თავისი მოვალეობა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეიძლება შეწყვიტოს. პირველი, თუ მას თავისი მოვალეობის შესრულება უკვე ფიზიკურად აღარ შეუძლია და მეორე, თუ მას მძიმე დანაშაული (სამშობლოს ღალატი, კორუფცია და ა.შ.) დაუმტკიცდა.



ბრალდება უნდა წამოაყენოს წარმომადგენლობითმა პალატამ. ამას ხმების უბრალო უმრავლესობა სჭირდება. საბოლოო ვერდიქტი კი სენატს გამოაქვს ხმების 2 მესამედით. ტრამპის შემთხვევაში ამ პროცედურის ამოქმედება უაღრესად პრობლემატური იქნება, რადგანაც რესპუბლიკელებს როგორც კონგრესში, ასევე სენატში უმრავლესობა ჰყავთ, რესპუბლიკური პარტია კი ტრამპს მხარს უჭერს. მართალია, ტრამპის რიგი ქმედებები (მაგ. პუტინთან დაახლოების მცდელობა) კრიტიკის საფუძველი გახდა, მაგრამ რესპუბლიკელებს იმპიჩმენტის გაგონებაც არ სურთ. ამის თაობაზე წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა პოლ რაიანმა მოკლედ და ამომწურავად განაცხადა.

სიტუაცია შესაძლოა ნოემბრის შემდეგ შეიცვალოს, როცა აშშ-ში კონგრესის არჩევნები შედგება. თანახმად წინასწარი მონაცემებისა, შესაძლოა, დემოკრატებს მცირე, მაგრამ მაინც უმრავლესობა ჰქონდეთ. ამ შემთხვევაში იმპიჩმენტის ამოქმედებას ექნება შანსი. დემოკრატებიც ამას შეეცდებიან. ამავე დროს, მხოლოდ დემოკრატების ხმები, საეჭვოა, რომ იმპიჩმენტისათვის საკმარისი გამოდგეს. საამისოდ დემოკრატებს რესპუბლიკელთა ნაწილის თანადგომა დასჭირდებათ. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ტრამპს ან კორუფცია, ან სამშობლოს ღალატი დაუმტკიცდა.

კორუფციაში ტრამპის დადანაშაულება აბსოლუტური უაზრობაა. რაც შეეხება სამშობლოს ღალატს, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში დადასტურდება, თუ აშშ-ის პრეზიდენტს რუსებთან საიდუმლო კავშირები დაუმტკიცდა.

ამის გაკეთება არ იქნება იოლი. აქ ბევრი რამაა დამოკიდებული მანაფორტზე, რომელსაც ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება. წავა თუ არა იგი გამოძიებასთან თანამშრომლობაზე და რას იტყვის რუსებთან საიდუმლო კავშირების შესახებ? თუმცა მანაფორტის აღიარებაც ბევრს არაფერს ნიშნავს. ყოველივე უნდა შემოწმდეს, გადამოწმდეს. ეს კი ფრიად ხანგრძლივი პროცედურა იქნება, რაც საშუალებას მისცემს ტრამპს, მოურიგდეს მათ, ვისაც მისი იმპიჩმენტი სურს.

მოცემულ ეტაპზე, როცა რესპუბლიკელებს კონგრესსა და სენატში უმრავლესობა ჰყავთ, ტრამპს იმპიჩმენტი არ ემუქრება. რა მოხდება ნოემბრის არჩევნების შემდეგ და რა გზას აირჩევს პრეზიდენტი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ჯონ მაკკეინი გარდაიცვალა



გარდაიცვალა ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი გავლენიანი წევრი ჯონ მაკკეინი (1936-2018).

ჯონ მაკკეინი სამხედროს ოჯახში აღიზარდა, თავადაც სამხედრო გახდა და ვიეტნამის ომშიც მონაწილეობდა. ამერიკელ სამხედროებს ღირსების განსაკუთრებული გრძნობა და რაინდული სული ახასიათებთ. მაკკეინიც გამონაკლისი არ იყო. პოლიტიკაშიც თავისი ღირსებითა და რაინდული სულით მოვიდა. ამიტომაც ამერიკული დიდი პოლიტიკის სინდისი შეარქვეს.

მაკკეინი ამერიკელ პოლიტიკოსთა იმ ნაწილს განეკუთვნებოდა, რომელთაც საქართველოსა და უკრაინის მნიშვნელობა კარგად ესმით. მაკკეინის წვლილი უზარმაზარია იმაში, რომ აშშ-მ უკრაინის, საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების დახმარება დაიწყო.

განსაკუთრებული იყო სენატორ მაკკეინის მხარდაჭერა აგვისტოს ომის დროს, როცა ის რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციაზე მაღალი ტრიბუნებიდან ხმამაღლა საუბრობდა, მათ შორის მის მიერ იყო ინიცირებული საქართველოს მხარდამჭერი არაერთი რეზოლუცია აშშ-ის კონგრესში.

სწორედ საქართველოს მხარდაჭერის გამო ჯონ მაკკეინი 2010 წელს ქვეყნის მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს ეროვნული გმირის ორდენით დააჯილდოვა.

საქართველოს შესახებ სენატორ მაკკეინის მიერ გაკეთებულ განცხადებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დამამახსოვრებელი იყო 2008 წლის 12 აგვისტოს, ამერიკელ ამომრჩევლებთან ნათქვამი შემდეგი ფრაზა: „დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართ“.

– პატარა ქვეყანა საქართველო რუსეთის მხრიდან თავდასხმის წინაშე დგას, რაც საფრთხეს უქმნის მის არსებობას. ზოგიერთმა ამერიკელმა შეიძლება იკითხოს, თუ სად მდებარეობს საქართველო, თუ რატომ უნდა ვწუხდეთ იმაზე, რაც ხდება იმ შორეულ ადგილას, თუმცა ისტორია ხშირად კეთდება შორეულ ადგილებში.

დღეს დილით ვესაუბრე საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. მან იცის, რომ ამერიკელი ხალხი ლოცულობს და მხარს უჭერს მამაც ქართველ ერს, რომელიც დღეს თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის იბრძვის. მთხოვა, მადლობა გადამეხადა თქვენთვის, მადლობა გადამეხადა იმისთვის, რომ ამერიკელი ხალხი მხარს უჭერს ამ პატარა დემოკრატიას, რომელიც შორსაა ამერიკისგან.

მას ვუთხარი, რომ ვიცი, თითოეული ამერიკელის სახელით ვსაუბრობ, როდესაც ვამბობ, რომ დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, – განაცხადა ჯონ მაკკეინმა 2008 წლის 12 აგვისტოს.

მაკკეინი რუსულ იმპერიალიზმს ხმამაღლა ამხელდა, ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ აშშ-ს მოსკოვის აგრესია გაენეიტრალებინა. სწორედ მაკკეინმა დაუჭირა მხარი იმ რეკორდულ სამხედრო ბიუჯეტს, რომელიც აშშ-ის კონგრესმა მიმდინარე წელს მიიღო. ამიტომაც მას მაკკეინის ბიუჯეტი შეარქვეს.

ჯონ მაკკეინმა ღირსეულად იცხოვრა და ამ ქვეყნიდან ვალმოხდილი წავიდა.

არესტოვიჩი: „პუტინი უკრაინაზე დარტყმას ამზადებს!“

უკრაინელი სამხედრო ექსპერტი არესტოვიჩი მიიჩნევს, რომ პუტინი უკრაინაზე დარტყმას ამზადებს. მიზანი უკრაინის ხელისუფლებაში პრორუსული ძალების, კერძოდ, პუტინის ნათესავისა და რუსეთის გავლენის აგენტ ვიქტორ მედვედჩუკის მოყვანაა.

ექსპერტის აზრით, რუსული სცენარი შემდეგია: დონბასის პარალელურად აზოვის ზღვაზე ესკალაცია დაიწყება. ამას მოჰყვება ფართომასშტაბიანი საპროტესტო გამოსვლები მარიუპოლში, ბერდიანსკსა და ხერსონში.

– შესაძლოა, ხერსონი, ბერდიანსკი და მარიუპოლი ახალ ცხელ წერტილებად გადაიქცეს, – ამბობს არესტოვიჩი.

შედეგად შეიქმნება სიტუაცია, როცა უკრაინა შავი ზღვისა და აზოვის სანაპიროს დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგება. როგორც კი კრიზისი პიკს მიაღწევს, გააქტიურდებიან პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსები, ისინი, ვინც პუტინ-მედვედჩუკის გარშემო არიან შეკრებილნი. მედვედჩუკი იტყვის, რომ ის ერთადერთია, ვისაც პუტინთან საერთო ენის გამოძებნა ძალუძს. შესაბამისად, ერთადერთია, ვისაც შეუძლია, უკრაინას ახალი ტერიტორიების დაკარგვა ააცილოს.

– ამ ლოზუნგებით მედვედჩუკი არჩევნების მოგებასა და ხელისუფლებაში მოსვლას შეეცდება. ასეთია პუტინის გეგმა, – აცხადებს არესტოვიჩი.

მედვედჩუკის რეიტინგი 2%-ია. მისი ხელისუფლებაში მოსვლა მხოლოდ რუსეთის ძალისმიერი ზეწოლის შედეგად არის შესაძლებელი.

ნავალნი კვლავ დააკავეს

რუსული ოპოზიციის ლიდერი ნავალნი კვლავ პოლიციამ დააკავა. მას ბრალად ედება ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

ნავალნის მომხრეები მომხდარს პროვოკაციად აფასებენ და თავიანთი ლიდერის გათავისუფლებას მოითხოვენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ჟურნალი ფლეიბოი

ფლეიბოის ყოფილი მოდელი საკუთარ სახლში მოკლეს

ჟურნალ ფლეიბოის ყოფილი მოდელი ქრისტინა კარლინ-კრაფტი საკუთარ სახლში გაგუდული აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ნიუ იორკ პოსტი ავრცელებს.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ პენსილვანიის შტატის ქალაქ ფილადელფიაში მოხდა. პოლიციელები ადგილზე უცნობის მიერ განხორციელებული ზარის შემდეგ მივიდნენ და 36 წლის მოდელის ცხედარი მისსავე ბინაში აღმოაჩინეს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღით ადრე მან პოლიციას ძარცვის გამო დახმარებისთვის მიმართა. ჯერჯერობით უცნობია, უკავშირდება თუ არა ერთმანეთს ეს ორი დანაშაული.

გარდაცვლილის გაკვეთამ მისი გაგუდვა დაადასტურა. პოლიციელები ამტკიცებენ, რომ მრავალი წლის განმავლობაში ეს პირველი დანაშაულია ამ რაიონში და მოქალაქეებს არწმუნებენ, რომ მათ საფრთხე არ ემუქრებათ.

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის მარტში მოდელი სკანდალში გაეხვა რესტორნის მფლობელთან ანგარიშის წარდგენის გამო. მას უმსგავსო ქმედების, თავდასხმის მცდელობისა და შეურაცხყოფის ბრალდება წაუყენეს, თუმცა ნახევარი წლის შემდეგ სანიმუშო ქცევის გამო ბრალდება მოუხსნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საბურთალო დამაჯერებლად იგებს

რუსთავი-საბურთალო 0:2

თბილისი. მიხეილ მესხი

0:1 მარგველაშვილი (22), 0:2 ვოლკოვი (75)

რუსთავი: მიგინეიშვილი, პაპავა, ლობჟანიძე, კვარაცხელია (კვირკვია 46), ფონიავა (ქავთარაძე 76), თარხნიშვილი, ბუგულოვი, ღონღაძე, ციცქიშვილი, ჩუკურა, გუჯაბიძე (კლიმიაშვილი 46)

საბურთალო: კუპატაძე, მარგველაშვილი, გოშთელიანი (კოხრეიძე 59), ვოლკოვი, ლაკვეხელიანი, ჩაბრაძე, ცნობილაძე (ტერა 26), ალთუნაშვილი (თარგამაძე 80), გორგიაშვილი, ვაგნერი, რეხვიაშვილი

გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა საბურთალომ აქტივს მორიგი ქულები შემატა – დედაქალაქელებმა რუსთავი 2:0 დაამარცხეს და 22 ტურის შემდეგ 53 ქულა დააგროვეს.

მთელი მატჩის განმავლობაში თბილისელები ფლობდნენ, როგორც სათამაშო, ასევე ტერიტორიულ უპირატესობას და საბოლოოდ შეხვედრა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს.

პირველი გოლი გიორგი ჭიაბრიშვილის ბიჭებმა ტაიმის შუაში გაიტანეს – სტანდარტული მდგომარეობიდან ლუკა ლაკვეხელიანმა შორეულ ძელთან ჩააწოდა, საჰაერო ორთაბრძოლა გიორგი რეხვიაშვილმა მოიგო, რომელმაც თავით გაგი მარგველაშვილს გაუკეთა პასი, რომელსაც ისღა დარჩენოდა, მოწინააღმდეგის კარში გაეტანა.

დაწინაურებამდე კი საბურთალოელებმა გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, როდესაც სწრაფი კონტრიერიში განახორციელეს – გურამ გოშთელიანმა ბურთით რამდენიმე მეტრი იარა, შემდეგ მარჯვნივ ელვინ ტერას მოძებნა, საბურთალოელთა ლეგიონერმა კი ახლო მანძილიდან მეკარეს ვერ აჯობა.

მეორე ტაიმი, ისევე, როგორც პირველი, თბილისელების უპირატესობით მიმდინარეობდა. ერთ-ერთ ეპიზოდში მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, გოშთელიანს ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმა რომ განეხორციელებინა, მიმდინარე სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო გოლი გამოდგებოდა, მაგრამ ფორვარდის დარტყმულს მცველები გადაეღობნენ. საბურთალომ მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ გოლი მაინც გაიტანა, ამაში კი ლომის წილი ვაგნერ გონსალვესმა დაიდო, რომელიც მეტოქის საჯარიმოში მოწინააღმდეგეს იოლად გასცდა, კარის გასწვრივ დავით ვოლკოვს გაუკეთა გადაცემა, ამ უკანასკნელმა კი ცარიელ კარში საბოლოო ანგარიში, 2:0 დააფიქსირა.

ლოკომოტივი-ჩიხურა 3:2

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 კობახიძე (8), 1:1 გაბედავა (41), 2:1 კობახიძე (54), 3:1 ჯიქია (77), 3:2 კახაბრიშვილი (87)

ლოკომოტივი: თევდორაძე, ჭანტურია, ჯიქია (კომახიძე 88), შონია, გვალია, დავითაშვილი (სამურკასოვი 46), კიკაბიძე (ინჯგია 70), ლობჟანიძე, გაბაძე, უბილავა, კობახიძე

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მირცხულავა, მარკოზაშვილი (ჩიხლაძე 63), მაისაშვილი (კახაბრიშვილი 30), გაბედავა, ბუღრიძე, ჩიკვაიძე (ბუხაიძე 73), მეგრელიშვილი, დობლოვოლსკი, სარდალიშვილი

ორი საინტერესო გუნდის მატჩი თვალსასეირო და უხვგოლიანი გამოდგა. საბოლოოდ, თბილისის ლოკომოტივმა საჩხერის ჩიხურა 3:2 დაამარცხა.

არადა, ჩიხურასთან მატჩში, ლოკოს ტრავმის გამო, გუნდის ბომბარდირი მამია გავაშელიშვილი აკლდა. სამაგიეროდ, ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა რევაზ თევდორაძე, რომელმაც ლუკა შეროზია შეცვალა. სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნდა გიორგი გაბაძეც, რომელმაც დისკვალიფიკაციის გამო თბილისის დინამოსთან დაპირისპირება გამოტოვა. ჩიხურა კი ტრადიციული შემადგენლობით იყო.

მიხეილ მესხის სათადარიგო მოედანზე ანგარიში მატჩის დებიუტში გაიხსნა. მე-8 წუთზე ოთარ კობახიძემ ლოკო დააწინაურა. კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ, საჯარიმოში უჩა ლობჟანიძემ ზუსტად ითამაშა და კარგ პოზიციაში მყოფი კობახიძე მოძებნა, ლოკოს 99-ე ნომერმა ერთი შეხებით ლამაზი გოლი გაიტანა.

41-ე წუთზე გიორგი გაბედავამ წონასწორობა აღადგინა. ეროვნული ლიგის ბომბარდირმა, თევდორაძის კარი საჯარიმო დარტყმით აიღო.

მეორე ნახევარი ლოკომოტივის უპირატესობით დაიწყო. 54-ე წუთზე კობახიძემ ულამაზესი დარტყმით დუბლი შეასრულა. საგოლე პასი ამჯერად გაბაძის ანგარიშზეა.

ლოკოს გატანა კიდევ არაერთხელ შეეძლო. მიზანთან ახლოს იყო სამურკასოვი და კობახიძე. თანაგუნდელების უზუსტობა დავით ჯიქიამ გამოასწორა, რომელმაც 77-ე წუთზე კარგი კონტრშეტევის შემდეგ მესამე გოლი გაიტანა. საგოლე გადაცემა პასი რევაზ ინჯგიამ გაუკეთა.

გოლის შემდეგ ჯიქიას მალევე დუბლის შესრულება შეეძლო, თუმცა მას სტუმართა მეკარემ აჯობა. რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა ინჯგიამ, მისი დარტყმა კარს მცირე მანძილით ასცდა.

87-ე წუთზე სტუმრებმა ერთი ბურთი გაქვითეს – თევდორაძეს კახა კახაბრიშვილმა გაუტანა, მაგრამ მეტის გაკეთება ვეღარ მოახერხეს და ლოკომაც იმარჯვა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	22	17	2	3	43-15	53
2.დინამო	21	14	3	4	44-20	45
3.ჩიხურა	22	11	5	6	36-21	38
4.დილა	20	9	8	3	37-27	35
5.ტორპედო	18	8	3	7	26-18	27
6.ლოკომოტივი	21	7	4	10	28-38	25
7.რუსთავი	21	5	7	9	19-27	22
8.სიონი	21	5	4	12	21-36	19
9.სამტრედია	21	1	7	13	13-35	10
10.კოლხეთი	21	3	5	13	21-51	8

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

კარლ-ჰაინც რუმენიგე: ჰოფენჰაიმი ველური დასავლეთის წესებით გვეთამაშა

გერმანიის ჩემპიონატის პირველი ტურის ეგიდით გამართული მატჩის შემდეგ მიუნხენური კლუბის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარემ კარლ-ჰაინც რუმენიგემ სეზონის დასაწყისზე, მომავალსა და ბასტიან შვაინშტაიგერზე ისაუბრა...

– ბაიერნმა პირველ ტურში ჰოფენჰაიმის დამარცხება შეძლო.

– პირველი 45 წუთის განმავლობაში, ჩვენი გუნდი შესანიშნავ ფეხბურთს დემონსტრირებდა. შესვენებაზე ჩვენ სრულიად დამსახურებულად მიგვყავდა ანგარიში. კინგსლი კომანის ტრავმის შემდეგ კი, გუნდში არეულობა შეინიშნებოდა. ნათელი იყო, რომ ბაიერნი ერთგვარ შოკს განიცდიდა, მომხდარი ფაქტის გამო. მთლიანობაში ჩვენ დამსახურებული გამარჯვება მოვიპოვეთ. 90 წუთის განმავლობაში უკეთესი გუნდი ვიყავით.

– როგორ გრძნობს თავს კინგსლი კომანი?

– ძლიერ ტკივილებს განიცდის. მას ოპერაცია ჩაუტარდება, კომანი დიდი ხნით გამოეთიშა თამაშს. ჩვენ ყველანი ვუსურვებთ სწრაფ გამოჯანმრთელებას და გუნდში დაბრუნებას. მას ყოველმხრივ დავუჭერთ მხარს.

– იულიან ნაგელსმანმა მატჩამდე აღნიშნა, რომ მისი მიზანია ბუნდესლიგის მოგება. როგორ შეაფასებდით ამ განცხადებას?

– ზოგადად კარგად ვაფასებ მსგავს თვითდაჯერებულობას. ჩვენ ყველანი დაინტერესებულები ვართ ბუნდესლიგის მოგებით. ფეხბურთი ემოციური სპორტის სახეობაა, განწყობა აქ ძალზედ მნიშვნელოვანია. ჩვენს ინ-

ტერესებშია, რომ ბუნდესლიგაში საინტერესო ბრძოლები იმართებოდეს. მაგრამ როზენისა და იულიან ნაგელსმანის განცხადებები თუ მოიცავს მსგავსი ქმედებების განხორციელებას ჩვენი გუნდის წინააღმდეგ, მაგალითად, ისეთის, როგორც ამ თამაშზე ვიხილეთ, მაშინ შემიძლია ვთქვა, რომ ამას არაფერ საერთო არ აქვს, ფეირ-პლეის პრინციპებთან.

– კონკრეტულ ეპიზოდებს გულისხმობთ?

– განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ჰოფენჰაიმის ფეხბურთელები ძალზე უხეშად მოქმედებდნენ. ტიაგოს, კომანისა და რიბერის წინააღმდეგ მუდმივად ჯარიმდებოდნენ, ეს ყველაფერი მიმართული იყო იმისკენ, რომ ჩვენ შეტევები შეეჩერებინათ. ეს იყო ფეხბურთი ველური დასავლეთის წესებით. ამ ყველაფრის შედეგად, ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია – არ შეიძლება ყველა საშუალება გაამართლო მიზნის მიღწევისათვის. ამ ზედმეტ უხეშობებს საერთო არაფერი აქვს გამბედაობასთან.

– მატჩის შემდეგ ბევრს საუბრობდნენ ვიდეოგამეორების სისტემის მუშაობაზე.

– მთლიანობაში ვემხრობი მსგავსი სისტემის გამოყენებას. ეს საშუალებები შეხვედრას უფრო პატიოსანს ხდის. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ გერმანიის ფეხბურთის კავშირი, ამ სისტემების დანერგვისას უნდა დაეყრდნოს პროფესიონალურ სტრუქტურებს. 2 წელია ამ ყველაფერზე მიდის მუშაობა, თუმცა პრაქტიკაში ყველაფერი ისე არ მოქმედებს, როგორც ამის სურვილი გვაქვს. ამან შესაძლოა ხსენებული სისტემის კრიტიკამდე მიგვიყვანოს.

– რას შესთავაზებდით თქვენ?

– უნდა შეიქმნას სპეციალური ჯგუფი, რომელიც მიადევნებს თვალს იმას, რომ ყველაფერი პროფესიონალურ დონეზე შესრულდეს. აუცილებელია ხსენებული პროფესიონალების და სპეციალური ბურთების გამოყენება. რუსეთში გამართულმა მსოფლიო ჩემპიონატმა კარგად დაგვანახა, თუ რამდენად კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია სისტემას.

– ორშაბათს (დღეს), ბასტიან შვაინშტაიგერის გამოსამშვიდობებელი მატჩი გაიმართება. იგი მიუნხენის ბაიერნის შემადგენლობაში იასპარეზებს თავის ამჟამინდელი კლუბის ჩიკაგო ფაერის წინააღმდეგ...

– ამ შეხვედრას ყველანი მოუთმენლად ველით. ბასტიანი მიუნხენის ბაიერნის ისტორიაში შევა, როგორც ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი. ის დამსახურებულად მიიჩნევა ქომაგების საყვარელ მოთამაშედ. დარწმუნებული ვარ ეს ძალზედ ემოციური საღამო იქნება.

მოურინიოს შემცვლელად კონტეს განიხილავენ

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ პრესასთან ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ ბევრი ჭორი იწერება იმის შესახებ, რომ მოურინიო იუნაიტედს დატოვებს. ეს უფრო რეალური ბრაიტონთან დამარცხების შემდეგ გახდა.

პორტუგალიელი სპეციალისტის წასვლა მანჩესტერ იუნაიტედის ქომაგებსაც სურს. ერთ – ერთ სოციალურ ქსელში მოუწოდეს კიდევაც – მოურინიო, წადი! რომელმაც პოპულარობა ძალიან მალევე მოიპოვა.

თუმცა, მოურინიო ჯერ წასვლას არ ჩქარობს, მეტიც, აცხადებს რომ, კლუბის ხელმძღვანელობასთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვს:

– მე და ედ ვუდვორდს ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ეს ყველაფერი იმ მარცხის შემდეგაც არ შეცვლილა. მან ამ მარცხის შემდეგ დამირეკა და დამამშვიდა. ვუდვორდმა მითხრა, რომ შემდეგი შეხვედრისთვის დამეწყო გუნდის მზადება.

და მაინც, მოურინიოს შემცვლელად ბევრი კანდიდატი მოიძებნება. აქამდე პრესაში ყოველთვის ზინედინ ზიდანი და მაურისიო პოჩეტინი ლიდერობდნენ, მაგრამ ისინი ამ ბოლო დროს იტალიელმა სპეციალისტმა, ანტონიო კონტემ შეცვალა.

კონტე ლონდონის ჩელსის წვრთნიდა. მან „არისტოკრატებთან“ ერთად პრემიერლიგა და ინგლისის თასი მოაგებინა. გარდა ლონდონური კლუბისა, კონტე იტალიის ნაკრებს ედგა სათავეში.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

შედეგები

25 აგვისტო

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

ვულვზი-სიტი 1:1
არსენალი-ვესტ ჰემი 3:1
ბორნმუთი-ევერტონი 2:2
საუთჰემპტონი-ლესტერი 1:2
ჰადერსფილდი-კარდიფი 0:0
ლივერპული-ბრაიტონი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	3	3	0	0	7-0	9
2.სიტი	3	2	1	0	9-2	7
3.ბორნმუთი	3	2	1	0	6-3	7
4.ჩელსი	2	2	0	0	6-2	6
5.უოტფორდი	2	2	0	0	5-1	6
6.ტოტენჰემი	2	2	0	0	5-2	6
7.ლესტერი	3	2	0	1	5-3	6
8.ევერტონი	3	1	2	0	6-5	5
9.მანჩესტერი	2	1	0	1	4-4	3
10.კრ.პალასი	2	1	0	1	2-2	3
11.არსენალი	3	1	0	2	5-6	3
12.ბრაიტონი	3	1	0	2	3-5	3
13.ვულვზი	3	0	2	1	3-5	2
14.კარდიფი	3	0	2	1	0-2	2
15.ნიუკასლი	2	0	1	1	1-2	1
16.საუთჰემპტონი	3	0	1	2	2-4	1
17.ბაირნლი	2	0	1	1	1-3	1
18.ჰადერსფილდი	3	0	1	2	1-9	1
19.ფულემი	2	0	0	2	1-5	0
20.ვესტ ჰემი	3	0	0	3	2-9	0

ინგლისი. ჩემპიონიდა

ასტონ ვილა-რედინგი 1:1
ბლეკბერნი-ბრენტფორდი 1:0
ბოლტონი-შეფილდი 0:3
დერბი-პრესტონი 2:0
ქარ-უიგანი 1:0
ნორვიჩი-ლიდსი 0:3
სტოკი-ჰალი 2:0
სუონსი-ბრისტოლი 0:1
უენსდი-იფსვიჩი 2:1
ნოტინგემი-ბირმინგემი 2:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ალავესი-ბეტისი 0:0
ატლეტიკო-რაიო 1:0
ვალიადოლიდი-ბარსელონა 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	2	2	0	0	4-0	6
2.სოსიედადი	2	1	1	0	4-3	4
3.ატლეტიკო	2	1	1	0	2-1	4
4.რეალი	1	1	0	0	2-0	3
5.სევილია	1	1	0	0	4-1	3
6.ლევანტე	1	1	0	0	3-0	3
7.უესკა	1	1	0	0	2-1	3
8.ბილბაო	1	1	0	0	2-1	3
9.ხეტაფე	2	1	0	1	2-2	3
10.სელტა	1	0	1	0	1-1	1
11.ესპანიოლი	1	0	1	0	1-1	1
12.ვალენსია	1	0	1	0	1-1	1
13.ხირონა	1	0	1	0	0-0	1
14.ლეგანესი	2	0	1	1	3-4	1
15.ვალიდოლიდი	2	0	1	1	0-1	1
16.ბეტისი	2	0	1	1	0-3	1
17.ალავესი	2	0	1	1	0-3	1
18.ვილიარეალი1	0	0	1	1-2	0	
19.ეიბარი	2	0	0	2	1-4	0
20.რაიო	2	0	0	2	1-5	0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ნუმანსია-კადისი 1:1
რეუსი-სარაგოსა 0:0
ლას პალმასი-ალბასეტე 1:1
კორდობა-ოვიედო 2:4

გერმანია. ბუნდესლიგა

ფორტუნა-აუგსბურგი 1:2
ფრაიბურგი-აინტრახტი 0:2
ჰერტა-ნიურნბერგი 1:0
ვერდერი-ჰანოვერი 1:1
ვოლფსბურგი-შალკე 2:1
გლადბახი-ლევერკუზენი 2:0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფიურტი-პადერბორნი 2:2
კიოლნი-აუე 3:1
მაგდებურგი-ინგოლშტადი 1:1

იტალია. სერია ა

იუვენტუსი-ლაციო 2:0
ნაპოლი-მილანი 3:2

იტალია. სერია ბ

ვენეცია-სპეცია 1:0
კრემონეზე-პესკარა 1:1
სალერნიტანა-პალერმო 0:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

პსჟ-ანჟე 3:1
ამიენი-რეიმსი 4:1
მონპელიე-სტ.ეტიენი 0:0
ნანტი-კაენი 1:1
ნიცა-დიჟონი 0:4
ტულუზა-ნიმი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	3	3	0	0	9-2	9
2.დიჟონი	3	3	0	0	8-1	9
3.ლიონი	3	2	0	1	4-1	6
4.ნიმი	3	2	0	1	7-5	6
5.რეიმსი	3	2	0	1	3-4	6
6.ტულუზა	3	2	0	1	3-5	6
7.სტ.ეტიენი	3	1	2	0	3-2	5
8.მონაკო	2	1	1	0	3-1	4
9.ლილი	2	1	1	0	3-1	4
10.მონპელიე	3	1	1	1	3-3	4
11.სტრასბური	3	1	1	1	3-3	4
12.მარსელი	2	1	0	1	5-3	3
13.ამიენი	3	1	0	2	5-5	3
14.რენი	2	1	0	1	2-3	3
15.კაენი	3	0	2	1	2-5	2
16.ნანტი	3	0	1	2	2-6	1
17.ნიცა	3	0	1	2	1-6	1
18.გენგამი	2	0	0	2	2-5	0
19.ბორდო	2	0	0	2	1-4	0
20.ანჟე	3	0	0	3	4-8	0

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

აიაქსი-ემენი 5:0
გრაფსხაპი-გრონინგენი 0:1
ზვოლე-ეინდჰოვენი 1:2
ბრედა-ექსელსიორი 0:2

პორტუგალია. პრიმერა ლიგა

პორტიმორენსე-სანტა კლარა 2:2
ბენფიკა-სპორტინგი 1:1
პორტუ-გიმარაეში 2:3

ჩეხეთი. პრემიერ ლიგა

ურალი-ახმატი 2:1
რუბინი-ცსკა 1:1
სპარტაკი-დინამო 2:1
გრასხოპერსი-სიონი 2:1
იანგ ბოიზი-ქსამაქსი 5:2

მოლდოვა. პრემიერ ლიგა

კილმანროკი-ჰართსი 0:1
სტ.ჯონსონი-დანდი 1:0
სტ.მირენი-ლივინგსტონი 0:2
ჰიბერნიანი-აბერდინი 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ვოლფსბერგერი-შტურმი 1:1
ალტახი-ზალცბურგი 2:3
სტ.პოლენი-აუსტრია 0:0

ბელგია. 1 დივიზიონი

სტანდარდი-სტ.ტრუიდენი 3:2
ანტვერპენი-სერკლი 1:0
მუსკრონი-ეუპენი 0:1
შარლერუა-კორტრაიკი 0:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანეთოლიკოსი-ატრომიტოსი 1:2
პაოკი-ასტერასი 1:0
აეკი-იანინა 2:0
აპოლონი-ლარისა 0:1

თურქეთი. სუპერლიგა

ანკარა-ტრაბზონი 2:2
გიოზთეფე-ფენერბახჩე 1:0
ქაისერი-მალათია 0:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-დუკლა 2:0
ოპავა-კარვინა 1:3
პრჟიბრჟამი-ლიბერეცი 1:3
ტეპლიცე-სლავია 0:3

პოლონეთი. ექსტრაკლასი

პოგონი-ლეხია 2:3
ვისლა-გურნიკი 3:0

უკრაინა. პრემიერ ლიგა

ოლექსანდრია-ვორსკლა 2:0
ჩერნომორეცი-დინამო 1:1

ნორვეგია. ელიტსერია

ტრომსო-ბოდო გლიმტი 1:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ილვესი-ტპს 2:0
ინტერი-როვანიემი 0:0
კემი-სეინეიოკი 0:0
ჰონკა-ლახტი 2:0

ორი კორეა ერთიანი გუნდით

როგორც ჩანს, სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეა „დაძმობილდნენ“ და, შესაძლოა, ერთად გაუყვნენ ტოკიოსკენ მიმავალ გზას.

2 კორეის ურთიერთობა რომ დათბა, ფაქტია... ჯერ იყო და ჩრდილოელები წინა ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე სამხრეთს ეწვივნენ და დიდი ხნის უბრობა დაარღვიეს, ახლა არის და, ერთიანი გუნდით უნდათ იაპონიაში გასამართ მომავალ ოლიმპური თამაშებზე გამოსვლა.

როგორც ცნობილი გახდა, კორეის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მინისტრის ტო ჩონ ჰვანის განცხადებით, ქვეყნის ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კორეას შესთავაზა განიხილონ 2020 წლის ტოკიოს თამაშებზე სპორტის რამდენიმე სახეობაში გაერთიანებული გუნდით გამოსვლის შესაძლებლობა.

ჩრდილოელების სამხრეთში სტუმრობა ვახსენეთ და მეტიც მოხდა – წლეულს პიონჩანგის ზამთრის თამაშების გახსნის ცერემონიაზე ამ 2 ქვეყნის სპორტსმენები ერთიანი კორეის დროშით წარდგნენ, ქალ ჰოკეისტთა გათამაშებაში კი გაერთიანებული გუნდით იასპარეზეს.

ტო ჩონ ჰვანი:

– ჩრდილოეთ კორეასთან განვიხილეთ, როგორ უნდა მოვიქცეთ გაერთიანებულ გუნდთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სპორტთან დაკავშირებით რეგულარული შეხვედრების ორგანიზებაზე საკუთარი შეხედულებები გავცვალეთ. ეს ყველაფერი გაერთიანებული გუნდების შექმნას ემსახურება.

იაპონიის დედაქალაქი 32-ე ოლიმპიურ თამაშებს 2020 წელს (24 ივლისი-9 აგვისტო) უმასპინძლებს.

იურგენ კლოპი პრემიერლიგაში ქულების დაკარგვას არ აპირებს

პრემიერლიგას ქულადაუკარგავად და გოლგაუშვებლად ლივერპული ლიდერობს. მერსისაიდელებმა მესამე ტურში ბრაიტონი დაამარცხეს, რამაც ძალიან გაახარეს მათი თავკაცი იურგენ კლოპი.

გერმანელი სპეციალისტი მიმდინარე სეზონზე კომენტარს აკეთებს.

იურგენ კლოპი:

– გადავწყვიტეთ, ქულები აღარ დავკარგოთ. მეტოქე ისევე თამაშობდა, როგორც ადრე. ჩემი გუნდი ჯერ 100%-ით მზად არაა. მაინც მოვიგეთ. ამიტომ გვყავს დიდი გუნდი. ვნახოთ, რას მივაღწევთ. გამარჯვებამ გამახარა. გავლიდერდით და ეს კარგია. არანაირი პრობლემა არა გვაქვს. თუმცა, ჯერ არ გამიგია, რომ 3 ტურის შემდეგ ვინმე ჩემპიონი გამხდარიყოს. ჩემპიონატი კარგად დავიწყეთ და წინსვლა უნდა განვაგრძოთ.

კლოპი გერმანიისა და ინგლისის ჩემპიონატების შესახებაც საუბრობს და აღნიშნავს, რომ ეს 2 საფეხბურთო ფორუმი, ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავდება. 51 წლის სპეციალისტის განცხადებით, ბუნდესლიგაში მხოლოდ ერთი კლუბი დომინირებს, რომელიც პრაქტიკულად ყველა თამაშს იგებს.

– ინგლისის ჩემპიონატის მოგება, რა თქმა უნდა, რთულია. აქ თითოეული მატჩისათვის ბოლომდე მზად უნდა იყო. 7 წლის წინ, ყველაფერი სხვაგვარად იყო, მის შემდეგ ფეხბურთი შეიცვალა. პრემიერლიგა სულ სხვა გამოწვევაა. არ მინდა შედარება გავაკეთო, მაგრამ თუ შენ ბუნდესლიგაში ბაიერნს ამარცხებ, ეს უკვე კარგია, რადგანაც, როგორც წესი, მიუნხენელები ყველა დარჩენილ შეხვედრას იგებენ. ინგლისში მსგავსი რამ არ ხდება. გასულ სეზონში მანჩესტერ სიტიც კი არ იყო დაუმარცხებელი. მართალია, მათ 100 ქულის დაგროვება შეძლეს, მაგრამ ეს იშვიათობას წარმოადგენს.

შეგახსენებთ, ლივერპულელთა ახლანდელი თავკაცი წლების განმავლობაში მოღვაწეობდა გერმანიაში, სადაც დორტმუნდის ბორუსიასთან ერთად ორჯერ მოიპოვა ბუნდესლიგის უმაღლესი ჯილდო, 2011 და 2012 წლებში.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

გველებზე მონადირემ რეპტილია ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა

ავსტრალიელი გველებზე მონადირე ხუთი საათი ებრძოდა ძალზე საშიშ ყავისფერ გველს, რომელიც მის კარიერაში ყველზე მსხვილი გველი აღმოჩნდა.

გველებზე მონადირე ენდრიუ სმედლი კვინსლენდის შტატის ქალაქ მარბურგში მცხოვრებმა ოჯახმა გამოიძახა. მათი თქმით, გველი ყოველ დილით მათ ეზოში ქვებზე იწვა და მზეს ეფიცხებოდა. ადგილზე მისულმა სმედლიმ ქვეწარმავლის დაჭერა ცადა, მაგრამ მან ქვების გროვას შეაფარა თავი.

გველებზე მონადირემ რეპტილიის მისი თავშესაფრიდან გამოდევნა წყლის რეზინის მილის დახმარებით ცადა, თუმცა უშედეგოდ. მაშინ სმედლიმ მიწა გამოთხარა და რამდენიმე ქვა გამოიღო, მაგრამ გველს ვერ მიაგნო.

– უკვე დანებებასა და ხელის ჩაქნევას ვაპირებდი, რომ შორიახლოს გუბურაში მოძრაობა შევნიშნე. თავდაპირველად ვიფიქრე, რომ გომბეშო იქნებოდა, მაგრამ გველი აღმოჩნდა, – აღიარა სმედლიმ.

გველებზე მონადირემ დაახლოებით ერთი საათი დაიცადა, სანამ გუბურა დაშრებოდა, შემდეგ კი გველი დაიჭირა. მთლიანობაში, მის დასაჭერად ხუთი საათი დასჭირდა. სმედლის თქმით, გველის სიგრძე 1,8 მეტრი იყო და ის მის ხუთწლიან კარიერაში ყველაზე დიდი ქვეწარმავალი აღმოჩნდა. მან რეპტილია დაჭერის ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით გაუშვა.

ნიგერიელებმა თხის შემჭმელი პითონი დაიჭირეს და შეჭამეს

ნიგერიის ლაგოსის შტატის ქალაქ ოჯოს მცხოვრებლებმა დაიჭირეს, მოკლეს და შეჭამეს პითონი, რომელმაც თხა გადაყლაპა.

გველმა, რომელიც დასახლების მახლობლად მდებარე ჭაობში ბინადრობდა, დაიჭირა ცხოველი, რომელიც საცხოვრებელი სახლების მახლობლად ძოვდა. მან მსხვერპლის გადაყლაპვა მანამდე მოასწრო, სანამ ადამიანები მიაგნებდნენ. ასეთი დიდი ნანადირევის გადასანსვლის შემდეგ ქვეწარმავალმა მიმალვა ვეღარ მოახერხა და ის ქალაქის ერთ-ერთმა მკვიდრმა შენიშნა.

მან განგაში ატეხა და რეპტილიის გარშემო თავი მეზობლებმა მოიყარეს.

– გველი იმათთან შედარებით, რომლებიც ამ არემარეში ადრე მოუკლავთ, პატარა იყო, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

– მადლობა ღმერთს, რომ თხის ადგილზე ბავშვი არ აღმოჩნდა, – აღნიშნა მეორემ.

ხალხმა პითონი მოკლა და მისი მუცლიდან გადაყლაპული თხა ამოიყვანა. ამის შემდეგ მათ ქვეწარმავლისგან კერძი მოამზადეს და შეჭამეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცეკვის აკადემია თელა

გიწვევთ სამეჯლისო-სპორტული ცეკვების შესასწავლად

მსურველები მიიღებიან ასაკობრივ ჯგუფებში;
ჩაწერა იწარმოებს 20 აგვისტოდან!
მისამართი: აკ.წერეთლის 126
Email: Academytela@yahoo.com
ტელ: 599-77-80-08

ჯოსვოხდი



1. იალქანი; 2. ქალთა ცეკვა; 3. მთავარი სისხლძარღვი; 4. კინოკამერის სამაგრი; 5. ქალაქი თურქეთში; 6. „თავისუფალი ...“; 7. სამკელი იარაღი; 8. ვერცხლისფერი ჭედადი ლითონი; 9. თაღი; 10. მოახლე; 11. აიზეკ ...; 12. ფულისა და ნივთების გათამაშება ბილეთებით; 13. დონ ... დე ბაზანი; 14. ეკლესიიდან განდევნა; 15. მთათა მასივი სომხეთში; 16. კურკოვანი ხილი; 17. ახლო ნათესავი; 18. ნუშის ლიქიორი; 19. ამერიკული კინოფანტასტიკა; 20. თხელი, ქადურა ქსოვილი; 21. პარკოსანი მცენარე; 22. მოხულიგნო ტიპი; 23. საგანგებო დავალება; 24. ერითროციტების ცილოვანი ფუძე; 25. მაუგლის მეგობარი გველი; 26. ... ფილიპი; 27. ესპანური სანახაობა ხარების მონაწილეობით; 28. დრამატული სიუჟეტის მქონე მუსიკალური ნაწარმოები; 29. ესპერანტოს ვარიანტი; 30. კავშირი (გრამატ.); 31. ენიო ... (კომპოზიტორი).

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მიკადო; 2. ბობი; 3. გალომანია; 4. დუომო; 5. ვისკოზა; 8. სლაიდი; 9. სამტრედია; 12. ბუსეტო; 14. როტორი; 16. აყირო.

თარაზულად: 1. „მზეჭაბუკი“; 6. „ხანჯლური“; 7. კურსები; 9. სოპოტი; 11. ლითიუმი; 13. მარკა; 15. ცუნიგა; 17. ბალასტი; 18. გეიტსი; 19. კვარცი; 20. რონალდო.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იალბუზი; 2. პავაროტი; 3. მოხელე; 4. ქცევა; 5. ბადაგონი; 8. „ბარახასი“; 12. „ზარა“; 13. პოლემიკა; 14. არაგვი; 16. ტარიელი; 18. კოდაი; 20. სურო.

თარაზულად: 6. საფიჩხია; 7. პრომოცია; 8. ბოტასი; 9. ფურკა; 10. ქობულეთი; 11. გრიზმანი; 15. სოლისიტორი; 17. ჯალიტა; 19. ვილსდორფი; 21. მიურიდი; 22. საკვოიაჟი; 23. კოსმოსი.

ასტროპროგნოზი 27 აგვისტოსთვის

ვერძი – ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი პერიოდია. ნუ გარისკავთ. **კურო** – ყოველმხრივ იღბლიანი დღეა. ახალი საქმე შეგიძლიათ თამამად დაიწყოთ. **ტყუპები** – სასიცოცხლო და შემოქმედებითი პოტენციალი მაღალია. გრძელვადიანი გეგმები ამართლებს. **კირჩხიბი** – ყოფითი საკითხების მოგვარებას ვარსკვლავები არ გირჩევენ. უკმაყოფილო და გაღიზიანებული ხართ. **ლომი** – ოჯახში ურთიერთობები სტაბილურდება. უსიამოვნებების დავიწყებაში ახლობლები დაგეხმარებიან. **ქალწული** – ახლობლებთან რთული ურთიერთობა გაქვთ, რაც, პირველ რიგში, თქვენი ბრალია. ნუ იქნებით კატეგორიული და სულსწრაფი. **სასწორი** – მოულოდნელი ინფორმაცია დაგაღონებთ. ახალი გატაცება ქალებისთვის ხანმოკლე აღმოჩნდება. **ღრიანკალი** – სასიკეთო ცვლილებების დღეა. მოსალოდნელია თქვენთვის ხელსაყრელი შემოთავაზება. **მშვილდოსანი** – ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. საქმე გულმოდგინედ და დიდი პასუხისმგებლობით აკეთეთ. **თხის რქა** – ოჯახში სიყვარული და ჰარმონია სუფევს. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში ხელი არ გეშლებათ. **მერწყული** – საყიდლებზე წასვლა არ გაამართლებს. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. ნეგატიური აზრებისგან გათავისუფლებაში სპორტი დაგეხმარებათ. **თევზები** – შანსი გეძლევათ, მატერიალური მდგომარეობა გამოისწოროთ. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

გია დანელია 88 წლის გახდა

ქართველი კინორეჟისორი გია დანელია 88 წლის გახდა. დაბადების დღე ხელოვანმა ოჯახის წევრების გარემოცვაში აღნიშნა.

კინორეჟისორი, ცნობილი თავისი სევდიანი კომედიებით – ასე უწოდა იუბილარმა რეჟისორმა გია დანელიამ საკუთარ თავს. მის ფილმებზე: „მიმინო“, „არ იდარდო!“, „აფონია“, „შემოდგომის მარათონი“, „პასპორტი“ თუ „ქინ-ძა-ძა“ თაობები გაიზარდნენ და დღემდე მაყურებლისთვის განსაკუთრებულად საყვარელი სურათებია.

რეჟისორის ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. მას ბევრ პრობლემასთან და დაბრკოლებასთან მოუწია გამკლავება, თუმცა სულით ხელოვანი მაინც არ გაბოროტდა.

როგორც თავად რეჟისორი იხსენებს, 6-7 წლის ასაკში მალარიით დაავადდა. ექიმმა მას წამალი გამოუწერა და მშობლები გააფრთხილა, რომ შესაძლებელია, ბავშვის შარდს შეფერილობა შეეცვალა და ლურჯი გამხდარიყო. როგორც რეჟისორი ყვება, ის ბებიამ თეატრში წაიყვანა, სადაც სპექტაკლი „ლურჯი ფრინველი“ გადიოდა. როდესაც შესვენების დროს მომავალი რეჟისორი ტუალეტში შევიდა და მოშარდვა დაიწყო, ზურგს უკან ხავერდოვანი ხმა მოესმა – არ მჯერა! ბავშვი შემობრუნდა და მის ზურგს უკან გენიალური სტანისლავსკი იდგა...

გია დანელია დღემდე ჯიუტად ამტკიცებს, რომ ეს ისტორია არ გამოუგონია და სინამდვილეა, თუმცა მაინც ამბობს, არ სჯერათ და ნუ სჯერათ!

ახალგაზრდობაში გია დანელია უფულოდ დარჩა და მამას დეპეშა გაუგზავნა: – მთელი ფული დავკარგე! მამამ კი საჩქაროდ დაუბრუნა პასუხი: – ჯიბე გაკერე!

გია დანელიას თითქმის ყველა ფილმის ტიტრებშია მოხსენიებული მსახიობი რენე ხობუა. რეჟისორის ყველაზე ერთგულ მაყურებელსაც კი არ შეუძლია თქმა, ვის როლს თამაშობს ეს მსახიობი. სინამდვილეში რენე ხობუა გია დანელიას არც ერთ ფილმში არ მონაწილეობს, უფრო მეტიც – ეს პიროვნება მსახიობი არასდროს ყოფილა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში გია დანელია რეზო გაბრიაძესთან ერთად მუშაობდა სცენარზე ფილმისთვის „არ იდარდო!“ თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში მათ გაიცნეს ზუგდიდელი რენე ხობუა, რომელიც მშენებელი იყო და თბილისში მივლინებით იმყოფებოდა. სცენარისტებს ძალიან აინტერესებდათ რიგითი მაყურებლის აზრი და ფილმის სცენარზე მუშაობისას „ექსპერტად“ მშენებელი ხობუა მიიწვიეს, რათა მას ორი ვერსიიდან საუკეთესო ამოერჩია. რენემ ცუდად იცოდა რუსული, ამიტომ საათობით იჯდა და ფილმისთვის შექმნილ ორ სცენარს მის ავტორებთან ერთად განიხილავდა. როდესაც გია დანელიამ და რეზო გაბრიაძემ სცენარების წარდგენა დაასრულეს და რენეს ჰკითხეს, რომელი ვერსია მოეწონა, მან გულწრფელად უპასუხა, რომ ორივე!



თუმცა „ექსპერტის“ ტანჯვა ამით არ დასრულებულა, სცენარისტებმა მას შესთავაზეს რამდენიმე სცენის განხილვა, რომელთა დამატებასაც ფილმში აპირებდნენ. რენე ხობუა უარს აცხადებდა ექსპერტობაზე, რადგან რუსული კარგად არ იცოდა და არ შეეძლო, სცენარისტებისთვის კვალიფიციური რეკომენდაციები მიეცა. გაკვირვებულმა გია დანელიამ ჰკითხა:

– თუ რუსული არ გესმის, რატომ გვაქებდი?

ზუგდიდელმა მშენებელმა კი მაშინვე მიუგო:

– ისეთმა პიროვნებებმა დაწერეთ სცენარი, როგორ არ შემექო?!

საბოლოოდ რენე ხობუამ სცენარისტებს თავი იმ მიზეზით დააღწია, რომ მაღალჩინოსანთან სამშენებლო მასალებთან დაკავშირებული შეხვედრა ჰქონდა დანიშნული და მთელი ზუგდიდი მას ელოდებოდა.

რენე ხობუას წასვლის შემდეგ მისი დაკარგული დროის ანაზღაურების მიზნით რეზო გაბრიაძემ იგი მსახიობთა სიაში ჩაწერა, თანაც ეს ერთი ფილმით არ შემოიფარგლა და ზუგდიდელი მშენებლის სახელი და გვარი გია დანელიას ყველა შემდგომ ფილმებშია მოხსენიებული.

მხოლოდ 20 წლის შემდეგ ფილმის მემონტაჟე ტატიანა ეგორიჩევამ რეჟისორს ჰკითხა: – ვის როლს თამაშობს ხობუა? რენე ხობუა „მონაწილეობს“ გია დანელიას ფილმებში „არ იდარდო!“ „ჰეკლბერი ფინის თავგადასავლები“, „აფონია“, „მიმინო“, „შემოდგომის მარათონი“, „ცრემლები ცვიოდა“, „ქინ-ძა-ძა“, „პასპორტი“, „ნასტია“, „არიოლი და რეშკა“, „ფორტუნა“.

როდესაც გია დანელია „აფონიას“ იღებდა, ფილმში ცეკვის სცენების გადაღება ღამით დაიგეგმა:

„ცეკვების სცენისთვის მოვითხოვე, თანამედროვე მუსიკოსები მოეყვანათ. მოიყვანეს ჯგუფი, გვკითხეს, რამდენს გადაუხდიდნენ დაკვრაში. აღმოჩნდა, რომ გადაღებებზე იმ დროისთვის ყველაზე პოპულარული და ამავე დროს ყველაზე აკრძალული ჯგუფი მოგვიყვანია. პირველი ჯგუფი იყო მაკარევიჩის „დროის მანქანა“ და მეორე – შახნაზაროვის „არაქსი“. ახლა ძალიან ვამაყობ, რომ „დროის მანქანა“ პირველად ჩემს ფილმ „აფონიაში“ გამოჩნდა“.

„ქინ-ძა-ძას“ გადაღებების შემდეგ გია დანელიას ამერიკელი რეჟისორი დაუკავშირდა და მისი ფილმისთვის სპეცეფექტებზე მუშაობა შესთავაზა, რადგან აღფრთოვანებული იყო საფრენი აპარატით (გრავიცაპა):

„რეჟისორს ვუთხარი, რომ ჩემს ფილმში არანაირ სპეცეფექტებს ადგილი არ ჰქონდა და საფრენი აპარატი რუსი სამხედროების შექმნილი იყო.

ამერიკელი რეჟისორი თავდაცვის სამინისტროში მივიდა, საიდანაც მოგვიანებით დამირეკეს და მთხოვეს, ასე აღარ მეხუმრა“.

როგორც გია დანელია ერთ-ერთ ინტერვიუში ყვება, რუსი ჟურნალისტის საუბარი

მოისმინა ბარაკ ობამას დასთან.

ჟურნალისტმა მას ჰკითხა:

– რა იცის თქვენმა ძმამ რუსეთის შესახებ?

ბარაკ ობამას დამ უპასუხა:

– ჩვენი მშობლების სახლში იყო რაღაც იდიოტური ფილმის კასეტა, რომელსაც ჩემი ძმა დაუსრულებლად უყურებდა. შემდეგ კი ყველა კითხვაზე ასე პასუხობდა – კუ!

ხობში მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბაიაში მდებარე შუა საუკუნეების წმიდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორ ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ტაძარი მაღალ ბორცვზე მდებარეობს, რომლის ფერდობები ფართოფოთლოვანი ხეებითაა დაბურული. ამ მთას ადგილობრივები „ოხვამეფერდს“ ეძახიან. ეკლესია უფრო ძველი და დიდი ტაძრის ადგილზეა აშენებული, რასაც მოწმობს ნაგებობის ირგვლივ მდებარე ერთ მეტრამდე სიფართის ძველი საძირკველი. ტაძარში აშკარად შეიმჩნევა რამდენიმე სამშენებლო ფენა. როგორც ჩანს, სარესტავრაციო სამუშაოებისას სხვადასხვა დროს გამოუყენებიათ ქვიშაქვები, კირქვის კვადრები, რიყის ქვა, ქართული აგური. ტაძარი გეგმაზე ხუთკუთხა შვერილაფსიდიანი დარბაზული ტიპის ნაგებობაა. აფსიდიში სამი სარკმელი განუთავსებიათ, ორ-ორი სარკმელია სამხრეთისა და ჩრდილოეთის, ხოლო ერთი დასავლეთის კედელზე. სარკმლები მოჩარჩოებულია კარგად თლილი კირქვით. ტაძარში შესასვლელი კარის ღიობი გაჭრილია ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის ფასადებზე. კარების ღიობებს ხურავს კირქვის ტიმპანები ჯვრის რელიეფით. დასავლეთის სარკმლის ორივე მხარეს რამდენიმე კვადრისაგან შემდგარი მართკუთხედია, რომლებზეც ჯვარის რელიეფური გამოსახულებაა. სამხრეთ და ჩრდილოეთის კედლებს ინტერიერში აქვს დეკორატიული სამ-სამი ცრუ თაღი. საკურთხეველი ძირითადი სივრცისაგან გამოყოფილია ოდნავ შემაღლებული ამბიონით, საკურთხევლის ორივე მხარეს ცრუ თაღით შემოსაზღვრული შეწეული მოცულობაა, რომელიც, სავარაუდოდ, სადიაკვნესა და სამკვეთლოს ფუნქციებს ასრულებდა. ჩრდილოეთის კარის მარჯვნივ ჩატანებულია წარწერიანი ქვის ლოდი იგი მხედრული ასოებით არის შესრულებული, მასში არ ჩანს ავტორის ვინაობა, სულ სამ სტრიქონინანია, მეოთხე სტრიქონი კი ძალიან უხეში ასოებით ამოუტვიფრიათ, სადაც ორჯერ მკრთალად მეორდება: „ესე საყდარ, ესე საყდარ აშენდა“, შემდეგ კი გარკვევით წერია: „ესე საყდარი აშენდა“.

ეკლესიას აქვს ძეგლის მახასიათებლები: სიძველე, არქიტექტურული ფორმა და ფასადთა მორთულობა.

მზია ორველაშვილი ბიჭის დედა გახდა

მოცეკვავე მზია ორველაშვილი ბიჭის დედა გახდა. პატარა ნია ონიაშვილის სამედიცინო კლინიკა „ბაიებში“ დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

პატარას ახალბედა მშობლებმა ალექსანდრე დაარქვეს.

მზია ორველაშვილისთვის ეს მეორე შვილია. უფროსი ბიჭი, ლევანი, მას პირველი ქორწინებიდან ჰყავს.

სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი თბილისში ჩამოდის

ლეონიდ იაკობსონის სახელობის სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი თბილისში ჩამოვა და უნიკალურ შოუბალეტს შესთავაზებს მაყურებელს.

ნოემბერში წარმოდგენილი იქნება ლეგენდარული ბალეტი „დონ კიხოტი“, რომლის ნახვაც მხოლოდ ერთ დღეს იქნება შესაძლებელი.

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ანდრიან ფადეევია. ბალეტის დადგმა და ქორეოგრაფია იოჰან კობორგს ეკუთვნის, სასცენო განათება – ვენსან მილლეს, დამდგმელი მხატვარი კი ჟერომ კაპლანია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ავთანდილ ივანიაძის გახსენება

2 წელია, უშენოდ აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს. ყოველთვის გაგიხსენებთ ამ დღეს, სანამ ცოცხლები ვიქნებით.

მადონა ჭიპაშვილი,
ვენერა, კახა, ნინო,
თამარ ივანიაძეები ოჯახებით

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ქალეიდოსკოპი

ქალწულების ფესტივალი ჩაშლის პირას აღმოჩნდა

საფრანგეთის უაზის დეპარტამენტის სოფელ სალანსის ხელისუფლებამ გადაიფიქრა ქალწულების ფესტივალის აღორძინების დაფინანსება, ვინაიდან უამრავი ნეგატიური გამოხმაურება მიიღო.

ითვლება, რომ სალანსის მცხოვრებლები ქალწულების ფესტივალს 456 წლიდან მართავდნენ, როდესაც ფრანგებს სათავეში მეროვინგების დინასტიის ფუძემდებელი ედგა. ფესტივალის დროს ირჩევდნენ 14-დან 20 წლამდე გოგონას, რომელიც გამოირჩეოდა უმწიკვლო ყოფაქცევით, ხელსაქმით, ღვთისმოსაობითა და გონიერებით. ის სათავეში ედგა 12 ბავშვისგან შემდგარ პროცესიას, რომელიც სოფლის ქუჩებში გადაადგილდებოდა.

ბოლოს ასეთი ფესტივალი 1987 წელს შედგა. წმინდა მედარდ ნუაიონელის საძმოს პრეზიდენტმა ბერტრან ტრიბუმ მისი 2019 წლიდან აღორძინების წინადადება წამოაყენა. ამ წამოწყებას მხარი ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაუჭირა, რომელმაც ფესტივალის ორგანიზებისთვის 1800 ევრო გამოყო.

ამის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას მხურვალე რეაქცია მოჰყვა როგორც სალანსში, ისე მის ფარგლებს გარეთ. პეტიციას, რომელიც ფესტივალის აღორძინების წინააღმდეგ იყო მიმართული, ხელი დაახლოებით 40 ათასმა ადამიანმა მოაწერა. ამის და ასევე უამრავი შეურაცხმყოფელი წერილის მიღების გამო სოფლის მერმა ერვე დეპლანკმა ფესტივალის დაფინანსებაზე უარი განაცხადა.

ამ ყოველივეს მიუხედავად, ბერტრან ტრიბუ ფესტივალის აღორძინებისთვის ბრძოლას აგრძელებს და მან საკუთარი პეტიცია შეადგინა, რომელსაც ამ დროისთვის ხელი 600-მდე ადამიანმა მოაწერა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 აგვისტოსთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5720

ევრო — 2.9791

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3073

100 რუსული რუბლი — 3.7990

ამინდის პროგნოზი 27 აგვისტოსთვის

ამერიკელი ცეცხლოვან ქარბორბალას ცეცხლმოკიდებული მანქანით გაექცა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ რედინგის მცხოვრები ცეცხლოვან ქარბორბალას გადაურჩა. ის მიტოვებული ტრაქტორის ქვეშ დაიმალა.

ყოფილმა პოლიციელმა სტივ ბასტილოსმა განაცხადა, რომ სახლში იმყოფებოდა, როდესაც ტყის ხანძარი „კარი“ ქალაქს მიადგა. მან საკუთარ პიკაპში ჩატვირთა ყველაფერი, რის წაღებასაც შეძლებდა, მათ შორის საბუთები და ბავშვების ფოტოსურათები, მეზობლებსაც მიეხმარა და მეუღლეს დაურეკა. ამ დროს რედინგის თავზე ცეცხლოვანი ქარბორბალა აღიმართა.

ჰაერში ატყორცნილი ცეცხლის ალი, ფერფლი და ნაკვერჩხლები დედამიწიდან 5,5 მეტრის სიმაღლეზე დაფრინავდნენ, ხოლო ქარის სისწრაფე წამში 64 მეტრს აღწევდა. ცეცხლოვანმა ქარბორბალამ წააცია რადიოანძა, ამტვრევდა ხეებს და სახურავს ხდიდა სახლებს.

ბასტილოსს ტელეფონი ხელიდან გაუვარდა, სასწრაფოდ პიკაპში ჩახტა და მანქანა ადგილიდან დაძრა. ამ დროს მანქანის მინები ჩაიმსხვრა და მის კაბინაში გავარვარებულმა ნაკვერჩხლებმა დაიწყო ცვენა. მალე ქარმა მოძრავი მანქანა ჰაერში ასწია და მამაკაცმა გადაწყვიტა, უკეთესი იქნებოდა, თუ მას მიატოვებდა. ბასტილოსი ალმოდებული პიკაპიდან გადმოხტა და გზის პირას მდგომი ტრაქტორის ქვეშ შეძვრა. მან გარშემო ჩანთები შემოიწყო, ასე დაიცადა, სანამ სტიქია გადაივლიდა, შემდეგ კი ის მეხანძრეებმა იპოვეს.

ყოფილმა ქმარმა ალიმენტი ხურდა ფულით გადაიხადა

ინდონეზიელმა მამაკაცმა ალიმენტის მილიონობით დავალიანება ხურდა ფულით გადაიხადა და ამით ყოფილი მეუღლე გაანაწყენა.

დუი სუსილარტომ რელიგიურ სასამართლო კარანგანჯანში დაახლოებით 12 ტომარა მიიტანა, რომლებშიც 153 მილიონი ინდონეზიური რუპია წვრილი მონეტებით ეწყო. მათმა საერთო წონამ დაახლოვებით 890 კილოგრამი შეადგინა. კიდევ 25 მილიონი მან ქაღალდის ფულით გადაიხადა. 52 წლის მამაკაცმა ფული სასამართლოში ორი მეგობრის დახმარებით ურიკით მიიტანა.

სუსილარტოს ქმედებამ კინაღამ ჩხუბის პროვოცირება მოახდინა მას და მისი ყოფილი მეუღლის ადვოკატს შორის, რომელმაც უარი განაცხადა ფულის გადათვლაზე. ამავე დროს, მამაკაცის ადვოკატმა განაცხადა, რომ მის კლიენტს ყოფილი მეუღლის შეურაცხყოფის განზრახვა არ ჰქონია.

მართალია, ქალმა თავი მაინც შეურაცხყოფილად იგრძნო, თუმცა ფული მაინც მიიღო. ასე რომ, ახლა უკვე მისი გადათვლა სასამართლოს თანამშრომლებს მოუწევთ.

სამი წლის ბავშვმა უჭმელ-უსმელმა გაძლო და უმცროსი ძმა გადაარჩინა

აშშ-ში სამი წლის ბავშვმა ავარიაში მოხვედრილი ავტომობილიდან, რომელშიც დედამისი დაიღუპა, თავის დაღწევა, გზის პირამდე მისვლა და პოლიციელების ყურადღების მიპყრობა მოახერხა. ამის შემდეგ პოლიციელებმა დამტვრეულ მანქანაში მისი ერთი წლის ძმა აღმოაჩინეს.

ინციდენტი არკანზასის შტატის უოშიტოს ოლქში მოხდა. სამი წლის კაილენ ჰოლიმანმა გადაბრუნებული მანქანის ჭერში დატანებული ლუქიდან გამოძრომა შეძლო. ავარია ტყეში გამავალ გზაზე მოხდა.

– როდესაც მან მანქანიდან თავი დააღწია და გარდაცვლილი დედა დაინახა, მისი გონს მოყვანა ცადა, – განაცხადა ბავშვის პაპამ.

ბავშვმა ოთხი დღე გაატარა მანქანასთან, შემდეგ კი ადამიანების მოსაძებნად გაემართა. ის პოლიციელებმა გზის პირას ნახეს. მათ შემოგარენი დაათვალიერეს და მანქანას მიაგნეს, რომელშიც მისი ერთი წლის ძმა იმყოფებოდა. ორივე ბავშვი საავადმყოფოში მოათავსეს, ექიმების თქმით, ისინი მალე გამოჯანმრთელდებიან. მათი გარდაცვლილი დედა ოთხი კვირის ფეხმძიმე იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი...

მეფეს ორი ქალი ეახლა, თან ახალგაზრდა მიიყვანეს და ერთ-ერთი მეფეს ეუბნება:

– ამ ბიჭმა ჩემი გოგო უნდა შეირთოს ცოლად.

– არა, ჩემი! – ღრიალებს მეორე.

მეფე დაფიქრდა და მერე ეუბნება:

– ხერხი მომიტანეთ.

– ხერხი რისთვის გინდათ, მეფეო? – ეკითხება პირველი ქალი.

– შუაზე გავხერხავთ და ერთი ნაწილი ერთს შეხვდება, მეორე ნაწილი – მეორეს.

პირველი ქალი მცირე ფიქრის შემდეგ ეუბნება მეფეს:

– მე თანახმა ვარ.

– მე არ ვარ თანახმა, ცოდოა, მასე ხომ დაიღუპება ეს მშვენიერი ახალგაზრდა.

– ეს ყმაწვილი პირველი ქალის შვილს შეირთავს ცოლად! ასეთია ჩემი გადაწყვეტილება!

– კი მაგრამ, მეფეო, ის ხომ მის გახერხვაზე იყო თანახმა!?!?

– საქმეც მაგაშია, სწორედ ის იქნება ნამდვილი სიდედრი!!!

●●●

ერთი გოგონა მეორეს ეკითხება:

– რაზე ოცნებობ?

– იმაზე ვოცნებობ, რომ ერთხელაც შევხვდები ფერიას, რომელიც 100 ათას დოლარს მაჩუქებს.

– და რატომ მილიონს არა?

– ეგ ხომ არარეალურია.

●●●

სამსახურის დაწყების მსურველი ერთ-ერთი დაწესებულების თანამშრომელს ეკითხება:

– თქვენთან მინდა მუშაობის დაწყება და როგორი დამოკიდებულება აქვთ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანების მიმართ, დისკრიმინაციას ხომ არ აქვს ადგილი?

– ნორმალური. უფროსობა ყველას განურჩევლად, ერთნაირად ხმარობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.უიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ჯუნგლებში გარესამყაროსგან იზოლირებულ ტომს მიაგნეს

ბრაზილიაში პირველად მოხერხდა, დრონით გადაეღოთ ჯუნგლების ბინადარი ერთ-ერთი ტომი, რომლის შესახებაც აქამდე არაფერი იყო ცნობილი.

ვიდეო ინდიელთა ეროვნული ფონდის ექსპედიციის დროს ამაზონიის ჯუნგლებში, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ვალე დო იავარის რეზერვაციაშია გადაღებული. ვიდეოზე ჩანს პატარა, მოშიშვლებული ადგილი ტყის შუაგულში, სადაც აბორიგენებს მცენარეები მოჰყავთ, ერთ-ერთ მათგანს კი ხელში მშვილ-ისრები უჭირავს. ასევე მკვლევრებმა მოახერხეს, ვიდეოზე გადაეღოთ თვითნაკეთი ნაჯახები, ნავები და ქოხები.

– ამ კადრებს შეუძლია, დაარწმუნოს საზოგადოება და ხელისუფლება ადგილობრივი ტომების დაცვის მნიშვნელობაზე, – განაცხადა ინდიელთა ეროვნული ფონდის პრეზიდენტმა უოლეს ბასტოსმა.

ფონდის რეგიონულმა კოორდინატორმა ბრუნო პერეირამ აღნიშნა, რომ მათ მიერ შეგროვილი მასალები მეცნიერებს ველური ტომების კულტურის შესწავლაში დაეხმარება.

ამერიკელმა ნარჩენებისგან კაცი დაამზადა და მასზე დაინიშნა

ამერიკელი მხატვარი მაიკლ შნაიდერი თავის ბოიფრენდზე დაინიშნა, რომელიც მან თავადვე შეაკოწიწა ღვინის ყუთებისგან. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

ორეგონის შტატის ქალაქ პორტლენდის მცხოვრები ცნობადი სახე მას შემდეგ გახდა, რაც ინსტაგრამში გამოაქვეყნა თავის მუყაოს შეყვარებულ, ფრანცთან ერთად გადაღებული ფოტოსურათები.

– მე მეგობარი მამაკაცი არ მყავს, ასე რომ, ის თავად დავამზადე ღვინის ყუთებისგან, – დაწერა ფოტოს კომენტარში მხატვარმა.

მას შემდეგ მაიკლი მუდმივად აქვეყნებს ფრანცთან ერთად გადაღებულ ფოტოსურათებს. ისინი ერთად სეირნობდნენ ველოსიპედით, იყვნენ კინოში, მაღაზიებსა და სავარჯიშო დარბაზში.

ამ ყოველივეს მხატვარი არტ-პროექტს უწოდებს და ამტკიცებს, რომ მასში ყველაზე საინტერესო მაყურებლის რეაქციაა.

– ზოგი ფოტოებს სასაცილოდ მიიჩნევს, ზოგი – სიგიჟედ, ნაწილი მარტოობის სიმბოლოდ აღიქვამს და ყველა მათგანი მართალია, – განაცხადა შნაიდერმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 4. იაპონური ნაციონალური ჩასაცმელი; 5. ზოგი ტროპიკული ხის ძვირფასი მერქანი; 6. მტაცებელი ცხოველი; 7. სადასტაქრო ორპირიანი დანა; 8. რაიმე საგნის კონტური; 10. რთული სიტყვის წინსართი, ნერვთან დაკავშირებული; 13. მაიმუნი; 15. ეთიოპიის იმპერატორების ტიტული; 16. სიმინდის ყვავილედი; 17. ინდოელი ქალის კაბა; 20. პატარა მონადირე ძაღლი; 21. რესტორანი გერმანიაში; 22. საღებავი ნივთიერება, რომელსაც მჟავა აწითლებს; 23. მგალობელი ფრინველი.

შვეულად: 1. მუქი ფერის ქსოვილი შავში გარდამავალი; 2. ფეთქებადი ნივთიერება; 3. ხელოვნებისა და მეცნიერების მდიდარი მფარველი; 4. ბზიკი; 5. ციმბირული ირემი; 9. მხატვრის ან მოქანდაკის სახელოსნო; 11. უკუსვლა, დაქვეითება; 12. იაპონიის იმპერატორების ტიტული; 14. კინოგადაღებაში ოპერატორული ხერხი; 18. ამერიკელთა მეტსახელი ევროპაში; 19. ... კოსტნერი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ